87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №21-22 {7027} 16 ნოემბერი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

არჩევნები 2020

შედეგები. თერჯოლის მუნიციპალიტეტი.

გთავაზობთ 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში. მონაცემები აღებულია თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიის 11 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმიდან, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციებიდან.

თერჯოლის მერობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები (რიგითობა დაცულია მიღებული ხმების მიხედვით)

41 ლაშა გოგიაშვილი— 10 547 (50,42%)
2 როლანდ მესხი—4999 (23,9%)
5 ვალერი ბოჭორიშვილი—4498 (21,5%)
56 ნიკა მემანიშვილი—876 (4,19%)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები თერჯოლის №49 საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნების მიხედვით (იხ. გვ. 2)

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 135-ის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგებით გამარჯვებული კანდიდატი—ლაშა გოგიაშვილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგეს, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან მე-11 დღეს. წარმატებები ვუსურვოთ მას თერჯოლისა და თერჯოლელთა კეთილდღეობისათვის მეტად საპასუხისმგებლო ბრძოლის წინა ხაზზე!

საქართველოს პარლამენტში №21 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის (ზესტაფონი, თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი) დეპუტატობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები

41 ბეჟან წაქაძე—38290 (49,77%)
5 კახა გეწაძე—20764 (26,99%)
2 გიორგი წერეთელი—9561 (12,43%)
56 ანა ბიბილაშვილი 2675 (3,48%)
8 ოთარ შაორშაძე—1706 (2,22%)
10 სამსონი გუგავა—625 (0,81%)
21 მურმან ნებიერიძე—335 (0,44%)
24 დავით გიორგაძე—541 (0,7%)
55 ანზორ ფორჩხიძე—341 (0,44%)
19 დავით შალამბერიძე—295 (0,38%)
44 გიორგი ქუჩიშვილი—293 (0,38%)
14 თემურ გოგსაძე—264 (0,34%)
51 გიგა გაბრიჭიძე—247 (0,32%)
7 გელა ჩივაძე—204 (0,27)
20 ლაშა ლილუაშვილი—199 (0.26%)
11 ნოდარ ებანოიძე—165 (0,21%)
23 გიორგი გვენეტაძე—160 (0,21%)
50 ნინო მეფარიშვილი—143 (0,19)
30 მერაბ გიორგობიანი—119 (0,15%)

ზესტაფონის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მეორე ტურში გავიდნენ: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი **ბეჟან წაქაძე** №41 და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი **კახა გეწაძე** №5.

ბეჟან წაქაძე

საპარლამენტო არჩევნების მე-2 ტური 21 ნოემბერს გაიმართება!

კახა გეწაძე

კორონავირუსი გვიტევს! რით ვპასუხობთ?

ფაქტიურად, ოქტომბრის თვის უმეტესი, არცერთი დღე ისე არ გასრულებულა, რომ საქართველოში კოვიდინფიცირებულთა რიცხვი სამნიშნა ციფრს არ გადაცილებოდეს. ამ მხრივ ძალზე მძიმე გამოდგა ნოემბრის განვლილი დღეები, როცა ყოველდღიური მაჩვენებელი ორიათასსაც აჭარბებდა. შესაბამისად, მართალია მზარდი იყო გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა, მაგრამ სამწუხაროდ, ასევე მზარდი იყო გარდაცვლილთა რაოდენობა და იგი პრაქტიკულად ყოველთვის ორნიშნა რიცხვით გამოისახებოდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში კი კოვიდსურათი ასეთია: დაინფიცირებული—185, თვითიზოლაცია—283, გამოჯანმრთელდა—125.

☞3

მუნიციპალიტეტის მერია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ინტენსიურად მუშაობდა მათი განხორციელების ყველა ეტაპზე

23 ნოემბერს გიორგობაა! გილოცავთ!

არჩევნები 2020

შედეგები. თერჯოლის მუნიციპალიტეტი.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, პუბლიკაციაში სათაურით „საარჩევნოდ“, არაერთი მნიშვნელოვანი მომენტი გავიხსენეთ საქართველოში ბოლო ათწლეულებში ჩატარებული არჩევნების ისტორიიდან და წლევანდელი—2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში (არჩევნებამდე 2 კვირით ადრე—რედ.), საქართველოს ზოგიერთ რეგიონში შექმნილი რთული ვითარების ფონზე, თერჯოლაში გამოკვეთილად მშვიდი ატმოსფეროს ბოლომდე შენარჩუნება შევთხოვეთ უფალ ღმერთს.

მადლობა უფალს, რომ ასეც მოხდა...

და თერჯოლაში, როგორც მთელმა წინა საარჩევნო პერიოდმა, ისე თავად არჩევნების დღემ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ექსცესები არც შემდეგ მომხდარა. 11 ნოემბერს კი მართალია, საოლქო-საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი სხდომა თავისი სურვილით დატოვეს კომისიაში „ევროპული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ზ. ქათამაძემ და თ. ახვლედიანმა, მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა ყოველგვარი გართულების გარეშე და კომისიის მუშაობას ხელი არ შეშლია.

სხდომის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ ვესაუბრეთ №49 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნაზი სირაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ მათმა სერიოზულმა მზადებამ არჩევნებისათვის, საერთო ჯამში, საუბნო კომისიებში კვალიფიციური გუნდები შეკრა, რასაც შედეგიც მოჰყვა, ის რომ მათ მუშაობაზე მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ხასიათის საჩივარი შემოვიდა, რომელიც საკითხის ოპერატიულად დაზუსტებისთანავე უკან მალევე გაიტანა წარმომდგენმა სუბიექტმა. ამასთან, იყო კიდევ 5 საჩივარი, აქედან 4 შეიტანა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნები-დემოკრატიული საქართველო“. აღნიშნული საჩივრები განიხილა ზესტაფონის საოლქო-საარჩევნო კომისიამ, რომელმაც ყველა მათგანზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

უნდა ითქვას, რომ არცერთი საჩივარი არ იყო ისეთი მასშტაბის და მნიშვნელობის, რომელსაც ოდნავი გავლენაც კი შეეძლო მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ზედმეტია საუბარი ისეთ ფაქტებზე, რომლებსაც ახლა დამარცხებული პარტიები ასე მწვავედ და სისტემატურად აპროტესტებენ საქართველოს სხვა რეგიონებში. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა პიროვნებას თუ დაწესებულებას, რომელმაც ჩვენ თანადგომა გაგვიწია ამ მნიშვნელოვანი არჩევნების ჩატარებაში. ეს ეხება ოპოზიციურ პარტიებსაც, რომლებთანაც ყველა ამ დროის განმავლობაში გვქონდა მხოლოდ კონსტრუქციული თანამშრომლობა—აღნიშნა საუბრისას საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ თერჯოლის საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მშვიდად ჩატარდა 31 ოქტომბრის არჩევნები. მშვიდი იყო მისი შემდგომი პერიოდი და საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი სხდომაც, თუმც არ გვგონია ვინმეს გულგრილს ტოვებდეს ის პროტესტი, რაც ქვეყნის მასშტაბით პარლამენტში შესასვლელად ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიების ორგანიზატორობით დაიწყო მათი მტკიცებით გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმების და ხელახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით. ჯერჯერობით ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის კონსესუსი არ შემდგარა. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები.

იმ საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალი, რომლებმაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით გადალახეს დაწესებული მინიმალური ბარიერი

№2 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია—ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის“— 3566 (16,82%)

№3 „ნინო ბურჯანაძე—ერთიანი საქართველო—დემოკრატიული მოძრაობა“ — 266 (1, 25%)

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა—გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ — 4516 (21, 29%)

№8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი—საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“— 410 (1, 93%)

№27 „გიორგი ვაშაძე—სტრატეგია აღმაშენებელი“— 684 (3, 23%)

№41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ — 10138 (47, 80%)

№56 „ლელო—მამუკა ხაზარაძე“ — 458 (2, 16%)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები თერჯოლის №49 საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნების მიხედვით

ubani	2. როლანდი მესხი	5. ვალერი ბოჭორიშვილი	41. ლაშა გოგიაშვილი	56. ნიკა მუმანიშვილი	ნამდვილი ხმები	მონაწილეობა რაოდენობა	ბათილი	კონტროლი
1	81	181	359	12	633	656	19	4
2	123	214	400	18	755	784	28	1
3	207	163	424	14	808	829	21	0
4	205	129	312	29	675	712	35	2
5	273	100	272	88	733	762	27	2
6	195	199	489	27	910	957	47	0
7	86	67	229	17	399	415	14	2
8	83	28	240	4	355	374	18	1
9	121	117	344	33	615	658	39	4
10	85	65	154	26	330	350	16	4
11	282	134	429	27	872	909	37	0
12	149	138	356	48	691	714	22	1
13	111	71	261	16	459	472	13	0
14	256	174	399	22	851	876	25	0
15	85	169	428	39	721	771	50	0
16	62	62	256	28	408	430	22	0
17	203	161	303	25	692	740	42	6
18	503	84	318	26	931	963	32	0
19	176	151	424	63	814	847	33	0
20	201	146	295	38	680	706	26	0
21	242	142	257	26	667	701	33	1
22	80	295	346	17	738	760	22	0
23	191	154	366	37	748	798	50	0
24	184	184	468	30	866	902	36	0
25	120	237	378	48	783	818	34	1
26	49	306	341	20	716	743	27	0
27	66	131	351	21	569	597	28	0
28	123	60	183	4	370	391	20	1
29	72	124	294	24	514	539	23	2
30	120	74	297	5	496	517	20	1
31	127	76	184	10	397	417	20	0
32	87	110	288	17	502	527	24	1
33	35	40	66	15	156	178	15	7
34	16	12	36	2	66	85	1	18
	4999	4498	10547	876	20920	21898	919	59
%	23.90	21.50	50.42	4.19				

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საარჩევნო უბნები ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

№21.49. 01 თერჯოლის საარჩევნო უბანი
№21.49. 02 თერჯოლის საარჩევნო უბანი
№21.49. 03 თერჯოლის საარჩევნო უბანი
№21.49. 04 ზედა ალისუბნის საარჩევნო უბანი
№21.49. 05 ქვედა ალისუბნის საარჩევნო უბანი
№21.49. 06 ახალთერჯოლის საარჩევნო უბანი
№21.49. 07 ბარდუბნის საარჩევნო უბანი
№21.49. 08 გოგნის საარჩევნო უბანი
№21.49. 09 გოდოგნის საარჩევნო უბანი
№21.49. 10 ნაგარევის საარჩევნო უბანი
№21.49. 11 ეწრის საარჩევნო უბანი
№21.49. 12 ჩიხორის საარჩევნო უბანი
№21.49.13 26 მაისის საარჩევნო უბანი
№21.49.14 ზედა სიმონეთის
№21.49. 15 თუზის საარჩევნო უბანი
№21.49.16 ვარდიგორის საარჩევნო უბანი
№21.49.17 კვახჭირის საარჩევნო უბანი
№21.49. 18 ნახშირღელის საარჩევნო უბანი
№ 21.49.19 რუფოთის საარჩევნო უბანი
№21.49.20 სიქთარვის საარჩევნო უბანი
№21.49.21 ქვედა სიმონეთის საარჩევნო უბანი
№21.49.22 ღვანკითის საარჩევნო უბანი
№21.49.24 ძევრის საარჩევნო უბანი
№21.49.25 ჭოგნარის საარჩევნო უბანი
№21.49.26 თერჯოლის საარჩევნო უბანი
№21.49.27 ტელეფის საარჩევნო უბანი
№21.49.28 სიქთარვის საარჩევნო უბანი
№21.49.29 ზედა საზანოს საარჩევნო უბანი
№21.49.30 ბარდუბნის საარჩევნო უბანი
№21.49.31 ქვედა სიმონეთის საარჩევნო უბანი
№21.49.32 ღვანკითის საარჩევნო უბანი
№21.49.33 კვახჭირის საარჩევნო უბანი
№21. 49. 34 სპეც. უბანი

კორონავირუსი გვიტევს! რით ვპასუხობთ?

1☞

„კოვიდ 19-ის“ ორი ტალღა და ორი მოთხოვნა

„კოვიდ19“-ის პირველ ტალღაზე იყო განსაკუთრებული შეზღუდვები და მოთხოვნა „დარჩი სახლში“, შესაბამისად იყო დაავადებულთა მცირე რიცხვი და უფრო მცირე სიკვდილიანობა, სამაგიეროდ ჩაიკეტა ეკონომიკა. „კოვიდ 19“-ის მეორე ტალღა, როგორც გვეუბნებოდნენ, ფართოდ გავრცელდა, გაიზარდა სიკვდილიანობა. ახლა სხვა მოთხოვნაა—„გაიკეთე ნიღაბი“ და „დაიცავი დისტანცია“.

ვირუსი ვირუსია და არსად წასულა. რატომ იყო და არის სხვადასხვა მოთხოვნები! ექიმებმა კი არა, ჩვენც, საქმეში ნაკლებჩახედულმა ადამიანებმა შევისწავლეთ კორონას „ქცევა“, გვაქვს გამოცდილება, წამლის მოლოდინი, აღარ არის პირბადის დეფიციტი, არის ტესტების გაცილებით მეტი რაოდენობა, საავადმყოფოთა ერთი ნაწილი გადაკეთდა „კოვიდ ცენტრად“, მეტი გამოცდილება აქვს ექიმებს და სხვა მუშაკებს, მაგრამ ყველაზე რთულად მაინც ეს დაავადება იმართება. იგი არის დამთრგუნველი, მარტო გიწევს ავადმყოფობასთან გამკლავება, არ გყავს მნახველი, გერიდებიან. მახსოვს, ძველ საავადმყოფოში ერთი თანამდებობის პირი იწვა, ოპერაცია გაიკეთა, იმდენი მნახველი ჰყავდა, ყოველდღე მთელ საავადმყოფოს უზრუნველყოფდა კვებით, ჩვენც იქ დავდიოდით, მიგვქონდა შემწვარი წიწილები, მოხარშული დედლები, ხილი, ტკბილეული. საფრთხე არ ემუქრებოდა მის ჯანმრთელობას და „დარჩი კიდევ“-თქვა ვეხუმრებოდით.

„საავადმყოფოში რომ ვიწექი, ექიმები, ექთნები, სანიტრები, მნახველები, ისე, თანაგრძნობის და მოფერების მიზნით, საბანს შემისწორებდნენ“-ო—თქვა ერთმა მეზობელმა და ზუსტად გამოხატა ავადმყოფ-საავადმყოფოს მაშინდელი მდგომარეობა. ახლა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ავადმყოფებთან, ჩვეულებრივი დაავადების დროსაც, არავინ გიშვებს და როგორ უვლიან, რამდენჯერ აკითხავენ ავადმყოფებს, ძნელი სათქმელია, მათთან არავინ გვიშვებს და კითხვაზე, როგორ არის ავადმყოფი, გაზეპირებულია ფრაზა „სტაბილურად“. არის აზრი, რომ პირველ ტალღაზეც უფრო დიდი იყო დაავადებულთა რაოდენობა, მაგრამ ტესტი ყველას არ უტარდებოდა და არც ამდენი გამოცდილება იყო, ახლა აღარ იზღუდება ჩვეულებრივი ცხოვრება, მოგვიწევს შევეგუოთ ნიღბით ცხოვრებას, რადგან მართლაც ვერ გაუძლებს ეკონომიკა.

კორონავირუსის არსებობა ბევრს არ სჯეროდა. ვამბობდით, რატომ ერთი მაინც არ არის დაავადებულთა შორის ჩვენი ნაცნობი, ან ნაცნობის ნაცნობი. ახლა მარტო „თერჯოლამედში, რომელიც კოვიდცენტრადაც მოგვევლინა, ათეულობით დაავადებული წევს, ახლა უკვე ვიცნობთ დაავადებულებსაც, მწოლიარეებსაც, სახლის პირობებში რომ მკურნალობენ მათაც, თვითიზოლაციაში მყოფთ და კოვიდსასტუმროებში განთავსებულთ, ხარვეზებზეც არის საუბარი, რაც უსაფუძვლოც არაა.

ჯერჯერობით ვერავინ ვერაფერს გვპირდება ნიღბის ტარების და დისტანციის დაცვის გარდა. ამ მოთხოვნებს უნდა

დავემორჩილოთ ჩვენი და სხვების ჯანმრთელობისათვის, წინაღმდეგ შემთხვევაში 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მალე დავეწევით და გავუსწრებთ ამერიკას, გვქონდა ერთ დროს ასეთი ლოზუნგი, მაგრამ ვერ დავეწიეთ და რას გავასწრებდით.

ახლაც ნურავის გავუსწრებთ. უნდა გავუძლოთ და შევეგუოთ ახალ სოციალურ ყოფა-ცხოვრებას, ეს ცხოვრება გრძელვადიანი იქნება.

ჟუჟუნა ცხადაძე

„თერჯოლამედი“ კოვიდკლინიკად გადაკეთდა

13 ოქტომბრიდან, შპს „ იმერმედი “- იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი „თერჯოლამედი“ ფუნქციონირებას შეუდგა, როგორც კოვიდ -კლინიკა, შესაბამისად გატარდა ცვლილებები მისი გამართულად ფუნქციონირების, პაციენტთა უსაფრთხოების, კომფორტულობის დაცვის და მათთვის უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით:

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება დაევალათ სტრუქტურული ერთეულების დეპარტამენტების (სამსახურები, განყოფილებები) ხელმძღვანელებს, რომ უზრუნველყონ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ პირთა მობილიზება და მონიტორინგი. განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა შენობის ყოველდღიურ დეზინფექცია-დამუშავებასა, თეთრეულის სამრეცხაოსა და კვების ბლოკის გამართულ მუშაობაზე, ავტორიზირებული აფთიაქის მედიკამენტებით, დამხმარე, სახარჯი მასალები და უსაფრთხოების საშუალებებზე საჭირო მარაგების შექმნაზე.

* * *

კლინიკაში უწყვეტ რეჟიმში მუშაობს დიაგნოსტიკური დეპარტამენტი (ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული დიაგნოსტიკა, აგრეთვე მოლეკულური ლაბორატორია).

დაწესებულების პროფილის გათვალისწინებით ცენტრში უზრუნველყოფილია კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში კოვიდ- დაავადებულ პირებზე ჰემოდიალიზის სეანსების უწყვეტ რეჟიმში ჩატარება.

უზრუნველყოფილია გეგმიური დიალიზის არაკოვიდ-ინფიცირებული პაციენტებისათვის უწყვეტი და უსაფრთხო სამედიცინო მომსახუების გაწევა.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, თერაპიული პროფილის კოვიდ- ინფიცირებულ პაციენტთა მართვის მიზნით შემოღებული იქნა ექიმ-ორდინატორის თანამდებობა.

სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლების მიზნით დაინერგა შემდეგი ღონისძიებები:

დიაგნოსტიკური დეპარტამენტის უფროსთან, ოჯახის ექიმის ოფისთან, პოლიკლინიკის გამგის მოვალეობის შემსრულებელთან და რეგისტრაციის განყოფილებასთან ერთად დაიგეგმა ბინაზე გამოძახების სერვისი ლაბორატორიული, ულტრაბგერითი, ფუნქციონალური დიაგნოსტიკისა და ვიწრო სპეციალისტთა მონაწილეობით.

გადაუდებელი მედიცინისა და ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით დაიგეგმა გადაუდებელი ამბულატორიული ქვეკომპონენტით პაციენტთა მომსახურებისა და ანტირაბიული ვაქცინაციის ჩატარება სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სივრცეში.

„იმერმედი“ თქვენი ჯანმრთელობის გარანტი!
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.
ჩვენ ერთად დავამარცხებთ COVID19-ს!
კლინიკა „იმერმედი” : 598-244-400 ; 598-987-575 ;
სასწრაფო დახმარება: 598-226-112 ; 599-300-112;
ტყიბულის საექიმო საკონსულტაციო ცენტრი: 598-222-112

კოვიდკლინიკა „იმერმედის“ მონაცემებით...

13 ოქტომბრიდან კლინიკაში სულ შემოვიდა კოვიდ ინფიცირებული 236 პაციენტი. აქედან, გამოჯანმრთელდა და გაეწერა 123. მკურნალობას აგრძელებს 90. ემერჯენსში დაკვირვების ქვეშაა 8 პაციენტი. ამ პერიოდში გარდაიცვალა 17 პაციენტი, რომლებიც დაავადებულ იყვნენ მძიმე სომატური დაავადებებით, როგორიცაა გულის უკმარისობა, არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, ბრონქული ასთმა, ბრონქოექტაზიული დაავადება. ერთი პაციენტი შემოყვანილ იქნა გულის გაჩერებით, გულის მუშაობის აღდგენა მოხდა რეანიმაციულ განყოფილებაში, მაგრამ პაციენტი 4 დღის შემდეგ მაინც გარდაიცვალა, იგი ასევე დაავადებული იყო თირკმლის ქრონიკული დაავადებით და იმყოფებოდა თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე. ორი პაციენტი იყო ონკოლოგიური დაავადებით (ფილტვის სიმსივნე, მეოთხე სტადია, წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე) გარდაცვლილ პაციენტთა უმრავლესობის ასაკი აღემატება 70 წელს, ერთი პაციენტი 54 წლის და ერთი 60 წლის.

მადლობა თერჯოლელ ექიმებს

ტკივილებით, მაღალი ტემპერატურით, უჰაერობის შეგრძნებით სასწრაფოდ გადამიყვანეს იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრ „იმერმედში“ (მთავარი ექიმი სოფო ბუსკივაძე). აღმომაჩნდა „კოვიდ 19“, ამასთან მაქვს შაქრიანი დიაბეტი, სიმსივნური დაავადება, 14 დღე ვიწექი სტაციონარში, ამ ხნის მანძილზე ყურადღება არ მომკლებია, კვალიფიციურმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ახლა კარგად ვარ. განსაკუთრებული მადლობა რეანიმაციის განყოფილების გამგეს გივი კოჭლამაზაშვილს, ექიმებს: ბატონ გიორგის, დენიზს, ამირანს, მედდებს: ანის, ელისოს, რომლებმაც ამ მძიმე მდგომარეობიდან გამომიყვანეს.

ნარგიზი ზურაბიანი-გუგელაძისა
ქ. ქუთაისი

არ ვიცი, მე გამიმართლა თუ ყველგან ასეა, მაგრამ ამ ადამიანებმა გადაგვატანინეს საავადმყოფოს კედლებში გამოკეტვა (ფოტოზე არასრული შემადგენლობაა) მზრუნველები, პოზიტიურები, ყურადღებიანები, 24/7-ზე თავს დაგვტრიალებდნენ. ყველა ექიმს, ექთანს და სანიტარს ჩემი და დედიკოს სახელით უდიდესი მადლობა.

სალომე ჯანელიძე

არ ვიცი საიდან დავიწყო, ან როგორ გადავუხადო მადლობა ამ არაჩვეულებრივ გუნდს, რომლებმაც დაუღალავი შრომის ფასად იხსნეს ჩემი და ჩემი ოჯახის ჯანმრთელობა კოვიდისგან.დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს.

ქეთი კაკაბაძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

სიქთარვის ახალი საჯარო სკოლა მინისტრმა, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მოინახულა

ამჯერად, 120 მოსწავლეზე გათვლილი სიქთარვის ახალაშენებული საჯარო სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ტყიბულისა და თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელგუჯა გოცირიძესთან ერთად მოინახულა.

მიხეილ ჩხენკელი: *„ვესტუმრე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის ახალ, თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ საჯარო სკოლას. მოხარული ვარ, რომ ადგილობრივმა მოსწავლეებმა სწორედ ახალი შენობის კედლებში შეძლეს სასწავლო პროცესის განახლება. თანამედროვე სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით, სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება.*

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, სოფელ სიქთარვის სკოლაში, ისევე როგორც სხვა სკოლებში, ზედმიწევნით არის დაცული ყველა ის სანიტარულ-ჰიგიენური წესი, რაც აუცილებელია კორონავირუსის პრევენციისა და ჩვენი მოსწავლეების უსაფრთხოებისთვის. ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა არის ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი.“

სიქთარვის საჯარო სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალით ააშენა. პროექტის ღირებულება ორ მილიონ ლარზე მეტია.

შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის: მოწყობილია პანდუსები, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები. შენობა აღჭურვილია ახალი ინვენტარითა და ტექ-

ნიკით. ეზოში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო სივრცე.

მინისტრმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა: *„არსებული გამოწვევების მიუხედავად, ახალი სასწავლო წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით დაიწყო. 2020-21 სასწავლო წლისთვის თბილისსა და რეგიონებში უკვე დასრულებულია 50 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ხოლო სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 800-მდე სკოლას. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ძირითადი ნაწილი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა. სამუშაოების ნაწილი ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და რეგიონების ადგილობრივი ბიუჯეტებიდან“.*

ახალთერჯოლის წყალი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ახალთერჯოლის 500-მდე ოჯახის სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად წყლის სისტემა მოეწყობა. გამოცხადდა ტენდერი სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე.

პროექტი ითვალისწინებს წყლის მიმწოდებელი მაგისტრალის, გამანაწილებელი ქსელის, რეზერვუარის, საქლორატორო ნაგებობის, აღრიცხვის კვანძებისა და სხვა საჭირო ნაგებობების მოწყობას.

ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად.

რუფოთი-ტელეფის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად...

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ რუფოთი-ტელეფის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად პროექტის ტენდერს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს. კომპანიის წარმომადგენლებმა რუფოთი-ტელეფის წყალმომარაგების სისტემის წინასაპროექტო კვლევისათვის საჭირო ანალიტიკურ-დიაგნოსტიკური სამუშაოები უკვე ჩაატარეს.

წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს რუფოთსა და ტელეფაში წყლის რეზერვუარის განსათავსებელი ადგილი, ჭაბურღილები, სათავო ნაგებობა, ასევე მიიღეს ინფორმაცია წყლის დებეტის შესახებ, რაც მათი ინფორმაციით საკმარისია 850 ოჯახის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად.

თანადგომა შეჭირვებულ ოჯახებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად შეჭირვებული სამი ოჯახისათვის მიმდინარეობს სახლების მშენებლობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 ათასი ლარი დაიხარჯება.

3 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მირზა ქოჩიაშვილი, სოციალური სამსახურის უფროსი დიანა ფოცხვერაშვილი, ინფრასტრუქტურის

სამსახურის უფროსის მ/შ გოდერძი თურქაძე ქვედა სიმონეთში, ჩხარსა და გოგნში იმყოფებოდნენ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროცესები დაათვალიერეს და მშენებლებს ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ ესაუბრნენ.

„მუნიციპალიტეტში მოქმედი „სახლდაზიანების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობს სამი სახლის მშენებლობა. ეს ოჯახები ცხოვრობდნენ ამორტიზებულ სახლებში, რომლებიც შეკეთებას არ ექვემდებარებოდა. მათ საცხოვრებლად გამზადებული სახლები წლის ბოლოსათვის ჩაბარდებათ. გასულ წელს ორი ოჯახისათვის ავაშენეთ სახლები. მომავალი წლიდან კი აღნიშნული პროგრამისათვის განკუთვნილი თანხა გაიზრდება და შესაბამისად, მეტი სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით“,—აღნიშნა მანუჩარ რობაქიძემ.

კეთდება მნიშვნელოვანი მაგისტრალი

სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კაცხის საავტომობილო გზის 12 კმ-იან მონაკვეთზე.

პროექტის ფარგლებში, გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ადგილობრივ გზებთან მიერთებები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები.

მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განხორციელდება გზის სავალი ნაწილის მონიშვნა და საგზაო ნიშნების მოწყობა.

პროექტი, რომელსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით ასრულებს შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 11 396 618 ლარია.



ახალი ჩემპიონი...

დასრულდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს სოფელ ძევრისა და ქალაქ თერჯოლის გუნდები დაუპირისპირდნენ. საინტერესო ორთაბრძოლა ძევრელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მირზა ქოჩიაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გურამ თურქაძემ, საკრებულოში კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სოფიო ბუსკივაძემ და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა საპრიზო ადგილზე გასული გუნდები და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ფეხბურთელები თასებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს.

მუნიციპალიტეტის მერია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ინტენსიურად მუშაობდა მათი განხორციელების ყველა ეტაპზე

ეს განცხადება ჩვენთან საუბარში 30 ოქტომბერს, საღამოს, ქალაქ თერჯოლაში, ჩვენი მიწა-წყლის და სრულიად საქართველოს დიდი შვილის, სახალხო მწერლის, დავით კლდიაშვილის მემორიალის ტერიტორიაზე ახლად რეაბილიტირებული სკვერის გახსნისას გაკეთდა.

არ შეიძლება ასეთი შეფასება არ გაიზიარო, რადგან აშკარად ჩანს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის კარგად ორგანიზებული იმ მუშაობის შედეგები, რაც კორონავირუსული პანდემიის უმძიმეს პირობებში დაიდო მიმდინარე წლის ათეულობით ინფრასტრუქტურული პროექტის სრულად განხორციელების სახით.

ჩვენი გაზეთი ყოველთვის გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ თემას. პრაქტიკულად მის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ინფორმაციები მიმდინარე სამუშაოებზე, დაწყებული განსახორციელებელი პროექტების შერჩევიდან, მათზე ტენდერების გამოცხადება—შემსრულებლებთან ხელშეკრულებების დადების თუ უშუალოდ ამ პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე.

სამწუხაროდ, ამ მიმართებით გამონაკლისი იყო წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური პერიოდი (სექტემბერი—ოქტომბერი), რაც საარჩევნო საკანონმდებლო მოთხოვნებით იყო გამოწვეული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ „თერჯოლის“ აგვისტოს ნომერში მკითხველს დავპირდით, რომ ნოემბრიდან კვლავ გავაგრძელებდით ამ თემების ფართოდ გაშუქებას, შესაბამისი სამსახურების, მერიის ხელმძღვანელი მუშაკების და მოსახლეობის ჩართულობით. ინფორმაციების გამოქვეყნებას რუბრიკით „რა კეთდება ჩვენს სოფლებში“...

იმის გათვალისწინებით, რომ წლის ბოლომდე სულ რაღაც რამდენიმე ათეული დღე დარჩა, იქვე მემორიალზე, იმავე დღესვე (30 ოქტომბერს), თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ მანუჩარ რობაქიძესთან შევთანხმდით, რომ „თერჯოლის“ საშუალებით მერიას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათ-

ვის მიეწოდებინა სრული ინფორმაცია მიმდინარე წლის დაგეგმილი ინფრაპროექტების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ. შეთანხმებისამებრ, რამდენიმე დღეში ჩვენი საუბარი ამ თემაზე მერის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ გოდერძი თურქაძის ჩართულობით წარიმართა.

ვიდრე, შესრულებულ სამუშაოებზე კონკრეტულ ციფრებსა და ფაქტებს გვაუწყებდა, მერის მოვალეობის შემსრულებელმა, პირველად, ორი თვის წინ, ჩვენი გაზეთის კითხვაზე („თერჯოლა“ 17 აგვისტო, №16), მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებლის, ლაშა გოგიაშვილის ის პასუხი გაიხსენა, რომელიც ეხებოდა საშიშროებას, რომ კოვიდპანდემიის გამო ხომ არ შეფერხდებოდა ან შეწყდებოდა სამუშაოები ზოგიერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე. მაშინ ლაშა გოგიაშვილმა გვიპასუხა:

„თქვენი მოსაზრებისა და კითხვის იმ ნაწილში, რომ თერჯოლაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მთელი საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის და რომ ამ პროექტების რაოდენობით თერჯოლის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია იმერეთში, ღიად გეთანხმებით, მაგრამ კითხვის ნიშანს ვერ დავსვამ იმ ნაწილში, რომ სამუშაოები შეფერხდეს ან შეწყდეს. პირიქით, ჩვენ ვცდილობთ, რომ შემსრულებელ ორგანიზაციებს შევუქმნათ ისეთი პირობები (თანადგომა, საქმიანობის მუდმივი კონტროლი და ა.შ. რედ.), რომ ამ დაძაბულ პერიოდში მაინც შეძლონ აღებული ვალდებულებების გრაფიკის დაცვით და მაღალი ხარისხით შესრულება. ასეთი მიდგომით და ამ პრინციპზე დაფუძნებული მოქმედებით, ჩვენ შევძელით ის, რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხების მიუხედავად, ყველა პროექტს ლოგიკურ დასრულებამდე მივიყვანთ და ეს მშენებლებთან ერთად, ჩვენი საზედამხედველო სამსახურების, სოფლებში მერის წარმომადგენლებისა და საკრებულოში ამ სოფლების დეპუტატების დამსახურებაც იქნება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგად შესრულდა ჩვენი თხოვნა-მოთხოვნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ პასუხისმგებლობების გადანაწილების თაობაზე“.

მანუჩარ რობაქიძე: „ბატონი ლაშას მაშინდელ ამ ნათქვამს მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ჩვენ სწორედ ასეთი დამოკიდებულებით შევძელით განვლილ 10 თვეში დაგვედო შესრულებული სამუშაოების საკმაოდ კარგი სურათი. სწორედ ამიტომ, პრაქტიკულად გამოვრიცხავთ რომ წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში თავი ვერ გავართვათ ყველა განსაზღვრული პროექტის განხორციელებას.

რაც შეეხება 10 თვეში განხორციელებულ ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამურად ჩამონათვალს მათ აქვე ვთავაზობთ თქვენს მკითხველს.

ათი თვის შედეგების სურათი ასე გამოიყურება:

დაფინანსება რეგიონალური განვითარების ფონდიდან

თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2020 წელს რგფ-დან გამოეყო 4 847 236 ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 12 ინფრასტრუქტურული პროექტი, დღეის მდგომარეობით 9 პროექტი დასრულებულია:

1. სოფ. ვარდიგორა-ჯგილათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
2. სოფ. ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
3. სოფ. ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
4. სოფ. ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
5. ქ. თერჯოლაში გოფანმთის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
6. სოფ. რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
7. სოფ. ნახშირღელეში ხუჯაძეები-ჩუბინიძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
8. სოფ. ზედა სიმონეთში წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
9. ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები (ქ. თერჯოლაში არსებული 4 სკვერის რეაბილიტაცია) და (რუსთაველის ქუჩის გასწვრივ არსებული ღობეების რეაბილიტაცია).

ხოლო სამი პროექტი მიმდინარეობს:

1. სიქთარვა-ჩხარიეწერის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
2. სოფ. თუზში ცენტრალური გზიდან წმ. სამების ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
3. ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-3 ჩიხში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს 2 951 751 ლარით დამატებით დაფინანსდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რომლის ფარგლებში რეაბილიტირდება 12 კმ საავტომობილო გზა. მ/წ 861 000 ლარით დაფინანსდა სოფ. ზედა სიმონეთში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები, პროექტი გარდამავალია, თუმცა სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. ასევე მიმდინარე წელს 1 034 485 ლარით დაფინანსდა ქ. თერჯოლაში არსებული 4 სკვერისა და რუსთაველის ქუჩის გასწვრივ არსებული ღობეების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ცენტრის კეთილმოწყობა, მომავალ წელსაც გვინდა ამ ტიპის პროექტები, ვნახოთ რა გამოგვივა.

დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან

2020 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტზე დახარჯულია 400 000 ლარამდე თანხა, რომლის ფარგლებში ორმულად დამუშავდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ა/ბეტონის საფარიანი გზები, რეაბილიტირდება სანიაღვრე არხები, ასევე 3 სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის სოფ. გოგნში, ჩხარსა და ქვედა სიმონეთში მიმდინარეობს ტიპიური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომელთა დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია

2020 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოეყო 1 000 000 ლარი, რომლის ფარგლებში, ქ. თერჯოლაში, სოფ. ახალთერჯოლაში, ზედა საზანოსა და თუზში რეაბილიტირდა სტიქიის შედეგად დაზიანებული საუბნო გზები, საერთო ჯამში არმირებული ბეტონის საფარით მოეწყო 7 კმ-მდე საუბნო გზა. ასევე აღდგა ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საერთო საცხოვრებლებისა და კერძო სახლის სახურავები. დღეის მდგომარეობით ასევე დასრულებულია სოფ. გოდოგანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდ-ბოგირი, რომლის დაზიანების შემდეგ ოჯახი მოწყვეტილი იყო სოფელს. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში ასევე რეაბილიტირდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე სანიაღვრე არხები.

დაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მგფ)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მგფ-ის დაფინანსებით მიმდინარეობს 2 მცირეკონტიგენტიანი თანამედროვე საჯარო სკოლის შენობის მშენებლობა, რაზედაც 2 000 000 ლარამდე დაიხარჯება. სამუშაოების დასრულება წლის ბოლომდეა დაგეგმილი და მალე, ზედა საზანოს საჯარო სკოლის მე-2 კორპუსისა და ჩხარის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ახალ საკლასო ოთახებში შეძლებენ სწავლის გაგრძელებას. ასევე მიმდინარე წელს მგფ-ის დაფინანსებით დასრულდა სოფ. ღვანკითში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 5 500 000 ლარზე მეტს შეადგენს, პროექტის დასრულების შემდეგ სასმელ წყალს ღებულობს სოფ. ღვანკითის 800 კომლზე მეტი.

ასევე, უახლოეს წარსულში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასრულდა რამდენიმე სოფლის: სოფ. ბარდუბანი, სოფ. სიქთარვა, სოფ. კვახჭირი წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის სამუშაოები, სადაც მოსახლეობა უკვე გამართულად ღებულობს წყალს. ასევე მომავალ წლებში დაგეგმილია სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა, დღეის მდგომარეობით დაწყებულია სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები.

☞6

მუნიციპალიტეტის მერია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ინტენსიურად მუშაობდა მათი განხორციელების ყველა ეტაპზე

5 ☞ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2020 წელს, მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს გამოეყო 690 000 ლარი, რომლის ფარგლებში სოფლებში მოსახლეობასთან ჩატარებულ საერთო კრებებზე დაიგეგმა 108 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. პრიორიტეტი მიენიჭა საუბნო გზებზე ბეტონის საფარის მოწყობას, ინერტული მასალის შეტანა-გაშლას, გარე განათებების მოწყობას, წყლის სისტემების მოწესრიგებას და სხვა. დღეის მდგომარეობით პროექტების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და თვის ბოლომდე ყველა პროექტი დასრულებული იქნება.

თუ რა გაკეთდა მუნიციპალიტეტის ცალკეულ სოფლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ასევე საერთოდ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების სახით, ამაზე ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში რუბრიკაში „რა გაკეთდა ჩვენს სოფლებში“, პირადად მოგვითხრობენ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

მორიგი მონიტორინგი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მიმდინარე წელს, 108 პროექტის განხორციელებისათვის 690 000 ლარი დაიხარჯება. მათი უმეტესი ნაწილი უკვე დასრულებულია.

მორიგი მონიტორინგი დარჩენილი სამუშაოების შესარულებაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა მირზა ქოჩიაშვილმა, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა მ/შ გოდერძი თურქაძემ ალისუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში განახორციელეს, სადაც ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელ გზაზე გარე განათების მოწყობა მიმდინარეობს (კონტრაქტორი ორგანიზაცია შპს „საგო“).

ამბროლაძეების მადლიერი ოჯახი

ჯერ კიდევ შარშან, სოფელ გოდოგანში, დიდწვიმიანობის დროს, წყალწითელას უბანში მოდიდებულმა სოფლის ღელემ მთლიანად დაანგრია და წაიღო ხიდ-ბოგირი, რომელიც რევაზ ამბროლაძის ოჯახს სოფელთან აკავშირებდა. დღემდე ამ ოჯახის წევრები კუსტარულად გაკეთებული დროებითი ხიდით და საცალფეხო ბილიკით სარგებლობდნენ, სულ ახლახანს კი, იქ, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში კაპიტალური ხიდ-ბოგირი მოეწყო.

ამ დღეებში სოფელში იმყოფებოდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი მირზა ქოჩიაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი მ/შ გოდერძი თურქაძე, რომლებმაც ხიდ-ბოგირების მოსაწყობად ჩატარებული სამუშაოები დაათვალიერეს.

„აქ არსებული გადასასვლელი ძლიერი წვიმის დროს ჩაინგრა და ოჯახი სოფელთან დასაკავშირებლად საცალფეხო ბილიკით სარგებლობდა, რაც საფრთხის შემცველი იყო. ხიდ-ბოგირი დასრულებულია, მოაჯირები უახლოეს მომავალში დამონტაჟდება და ოჯახის წევრები, მათ შორის მცირეწლოვნები, უსაფრთხოდ შეძლებენ გადაადგილებას. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის თითოეული ოჯახის პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვანია,“—აღნიშნა მანუჩარ რობაქიძემ.

„დახმარებისათვის მერიას მივმართეთ, ხელმძღვანელი პირები მოვიდნენ, დაათვალიერეს, დაგვპირდნენ დახმარებას და დანაპირები შეგვისრულეს. დიდ მადლობას ვუხდით ადგილობრივ ხელისუფლებას ჩემი ოჯახის პრობლემის გულთან მიტანისა და რეაგირებისათვის,“—განაცხადა ოჯახის დიასახლისმა მერი ამბროლაძემ.

მიმდინარე წელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდიდან 7 კმ გზა მოეწყო ბეტონის საფარით, ასევე შეკეთდა სტიქიის დროს დაზიანებული ხიდ-ბოგირები, საყრდენი კედლები და სანიაღვრე არხები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ცნობისათვის— „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2019 წლის 30 დეკემბრის N27 დადგენილებით 12413.2 ათასი ლარის ოდენობით.

2020 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2232.1 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 1895.9 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 336.2 ათას ლარს.

2020 წლის 9 თვეში ბიუჯეტის ცვლილება 7-ჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 20263.1 ათასი ლარით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **ნინო ჯანელიძე** ხელმძღვანელობდა, დღის წესრიგით წარმოდგენილი ერთი საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ“ ცნობად იქნა მიღებული. აღნიშნული საკითხი მორიგ სხდომამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ბიუროს სხდომაზე განიხილეს.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, **მანუჩარ რობაქიძე** შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შემოსულობების ანალიზი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის ფაქტიურმა შემოსავლებმა 14013.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის (20263.1 ათასი ლარი) 69,1 %-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის ფაქტიურ შემოსავლებში (14013.5 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 6943.7 ათას ლარს, ანუ 49,5%-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 589.4 ათას ლარს, ანუ 4,2 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 4066.9 ათას ლარს, ანუ29,0%-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები დაფიქსირებულია 181.4 ათასი ლარით, რაც შეადგენს 1,2%ს.

ფაქტიური შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2020 წლის 9 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 6943.7 ათას ლარი (49,5%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. მათ შორის: ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 1644.4 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 5299.3 ათასი ლარი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 327.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მოცულობის (1193.6 ათასი ლარი) 27,3%-ია. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 3739.9 ათასი ლარის ოდენობით. წლიური გეგმიური მაჩვენებელი ამ სახით გათვალისწინებულია 6995.0 ათასი ლარით.

თავის მხრივ, სახელმწიფო ფონდებიდან მისაღები ტრანსფერები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის განსაზღვრულია „რეგიონში განსახორციელებელ პროექტებზე“ 4605.0 ათასი ლარით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე-690.0 ათასი ლარი, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ - 1000.0 ათასი ლარი და ფინანსურ დახმარებაზე-700.0 ათასი ლარი.

2020 წლის 9 თვეში ბიუჯეტში საკუთარი (საგადასახადო და არასაგადასახადო) შემოსავლები განსაზღვრული იყო 5940.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა მაჩვენებელმა 7714.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 1774.4 ათასი ლარით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

საკუთარ შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 5281.6 ათას ლარს, რომელიც ნაწილდება მიწის გადასახადზე (41.3 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადზე (3750.0 ათასი ლარი) და ქონების გადასახადზე 1531.6 ათასი ლარი.

9 თვეში არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა-დავალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 558.5 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 589.4 ათასი ლარი, რაც 30.9 ათასი ლარით აღემატება დაგეგმილს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები ჩარიცხულია 181.4 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსავლების შესრულება გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

ა) საქ. საწარმოთა ქონება შესრულდა 106,0%-ით (გეგმა -1490.0 ათასი ლარი, ფაქტი - 1579.1 ათასი ლარი)

ბ) ფიზიკურ პირთა ქონება ჩარიცხულია 0.3 ათასი ლარის ოდენობით.

გ) სასოფლო მიწაზე გადასახადი შესრულდა-102,2%-ით (გეგმა -18.0 ათასი ლარი, ფაქტი - 18.4 ათასი ლარი)

დ) არასასოფლო მიწაზე გადასახადი -102,5 %-ით (გეგმა-23.3 ათასი ლარი, ფაქტი - 23.9 ათასი ლარი).

ე) დამატებული ღირებულების გადასახადი -141,3%-ით (გეგმა 3750.0 ათასი ლარი, ფაქტი - 5299.3 ათასი ლარი).

ვ) დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები შესრულდა-124,1%-ით (გეგმა-82.0 ათ.ლარი, ფაქტი-101.8 ათასი ლარი)

ზ) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის-100,1 %-ით (გეგმა - 198.0 ათასი ლარი, ფაქტი - 198.2 ათასი ლარი).

თ) ჯარიმები, სანქციები, საურავები-101,0%-ით (გეგმა -127.0 ათასი ☞7

6☜ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შემოსულობების ანალიზი

ლარი, ფაქტი - 128.3 ათასი ლარი).

ი) სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლები - 106,3%-ით (გეგმა - 151.5 ათასი ლარი, ფაქტი -161.1 ათასი ლარი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის გადასახდელების გეგმა შეადგენს 11512.0 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია – 11512.0 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 100,0 %-ით.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის გადასახდელები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობა დაფინანსებულია – 100,0 %-ით, ანუ-2020.8 ათასი ლარით (გეგმა- 2020.8 ათასი ლარი; ფაქტი -2020.8 ათასი ლარი).

თავდაცვის ხარჯები დაფინანსებულია – 86.3 ათასი ლარით (გეგმა-86.3 ათასი ლარი; ფაქტი–86.3 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 100,0 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსებულია - 2863.1 ათასი ლარით (გეგმა -2863.1 ათასი ლარი, ფაქტი-2863.1 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსებულია –1366.8 ათას ლარით (გეგმა – 1366.8 ათასი ლარი; ფაქტი – 1366.8 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსებულია – 1167.5 ათასი ლარით (გეგმა – 1167.5 ათასი ლარი; ფაქტი -1167.5 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება 128.5 ათასი ლარი (გეგმა 128.5 ათასი ლარი, ფაქტი 128.5 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია -100,0 % ით.

წყალმომარაგება დაფინანსებულია – 208.2 ათასი ლარით (გეგმა— 208.2 ათასი ლარი; ფაქტი—208.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია -100,0 % ით.

გარე განათება დაფინანსებულია – 158.2 ათასი ლარით (გეგმა – 158.2 ათასი ლარი; ფაქტი – 158.2 ათასი ლარი).

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დაფინანსებულია -618.6 ათასი ლარით. (საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება 116.1 ათასი ლარი და სოფლებში განსახორციელებელი პროექტები 502.5 ათასი ლარი).

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია –80.1 ათასი ლარით (გეგმა -80.1 ათასი ლარი; ფაქტი – 80.1 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია- 100,0 %-ით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა დაფინანსებულია – 79.5 ათასი ლარით (გეგმა – 79.5 ათასი ლარი; ფაქტი -79.5 ათასი ლარი).

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დაფინანსებულია 0.6 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 1027.6 ათასი ლარით (გეგმა –1027.6 ათასი ლარი; ფაქტი – 1027.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 327.2 ათასი ლარით (გეგმა – 327.2 ათასი ლარი; ფაქტი – 327.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 პროცენტით.

სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია 313.8 ათასი ლარით და სპორტული ღონისძიებები დაფინანსებულია 13.4 ათასი ლარით.

მომსახურეობა კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 610.8 ათასი ლარით (გეგმა – 610.8 ათასი ლარი; ფაქტი-610.8 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით. მ/შორის: თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 116.8 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 152.5 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 89.1 ათასი ლარით, კულტურის სახლი დაფინანსებულია – 206.0 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 46.4 ათასი ლარით.

საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსებულია–41.1 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 48.5 ათასი ლარით (გეგმა – 48.5 ათასი ლარი; ფაქტი – 48.5 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია – 28.5 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსებულია 20.0 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 2113.2 ათასი ლარით (გეგმა – 2113.2 ათასი ლარი; ფაქტი - 2113.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

სკოლამდელი აღზრდა დაფინანსებულია 1510.5 ათასი ლარით, აქედან: სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 64.9 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 1445.6 ათასი ლარით.

ზოგადი განათლება დაფინანსებულია -602.7 ათასი ლარით (გეგმა - 602.7 ათასი ლარი; ფაქტი – 602.7 ათასი ლარი) მოსწავლე-ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 142.4 ათასი ლარით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსებულია 460.3 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია – 786.6 ათასი ლარით (გეგმა – 786.6 ათასი ლარი; ფაქტი - 786.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი წლიური გეგმით გათვალისწინებულია -50.0 ათასი ლარი და გახარჯულია 23.7 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანება არის 0,0 ათასი ლარი, ხოლო დებიტორული დავალიანება -10.0 ათასი ლარი. ასევე გრძელვადიანი ვალდებულება არის - 404.9 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის N1213, N1394, N2712, N2367, N986 და N593 განკარგულებებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2020 წელს დაიხარჯება1144.4 ათასი ლარი, რომლიდანაც უკვე გახარჯულია 564.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2020 წელში გამოყოფილი აქვს დაფინანსება -4606.9 ათასი ლარი, რითაც განხორციელდება 12 მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათი უმეტესი ნაწილი უკვე დაფინანსებულია შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის 2020 წელს გამოყოფილია 724.0 ათასი ლარი და უკვე შესრულებულია 240.2 ათასი ლარის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე მიმდინარე წელს გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი, ხოლო უკვე გახარჯულია 502.5 ათასი ლარი.

P.S. რაც შეეხება მომავალი, 2021 წლის ბიუჯეტს, მისი პროექტი მერიამ უკვე წარადგინა განსახილველად მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ახალი ბიუჯეტის ეს თავდაპირველი პროექტი ჯერ კიდევ ბევრ ცვლილებას განიცდის, მაგრამ როგორც ჩვენთან საუბარში მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა, ავთანდილ ურიადმყოფელმა განაცხადა, მასში, მიუხედავად კორონავირუსული პანდემიური პრობლემებისა, მაინც იქნება შენარჩუნებული ამბიციურობა, ანუ 2020 წელთან შედარებით მისი ზრდის სურვილი—ან, როგორც მინიმუმ ამ წლის დონეზე მისი შენარჩიუნება.

„სიმონეთი ჩემი იდილიაა“

ამ რამდენიმე წლის წინ დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში აღდგა კარგი ტრადიცია „სიმონეთური შეხვედრები“ და სამახსოვრო „ძელქვის ფოთლის“ ვერცხლის სამკერდე ნიშნით იმ პიროვნებების დაჯილდოება, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს დავით და სერგო კლდიაშვილების შემოქმედების პოპულარიზაციაში. დიდი ბჭობა არ დასჭირდა, ვინ უნდა ყოფილიყო პირველი სასურველი სტუმარი, რომელიც ძველი „სიმონეთური შეხვედრების“ მონაწილეებს: ელდარ შენგელაიას, მიხეილ თუმანიშვილს, გოგი ხარაბაძეს, მაკა ჯოხაძეს ტოლს არ დაუდებდა. ეს გახლდათ ქალბატონი ნანა ღვინეფაძე—პოეტი, მთარგმნელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, თეატრმცოდნე, ნიკო ნიკოლაძის სახელობისა და საერთაშორისო პრემიის „ოქროს ფრთის“ ლაურეატი, „საქართველოს რესპუბლიკის“ ჯილდოს—„ოქროს რტოს“ მფლობელი.

რამდენიმე თვეა, რაც ქალბატონი ნანა, თერჯოლასა და სიმონეთზე განსაკუთრებულად გადაგებული ეს საოცარი ჩვენებური გარდაიცვალა. კორონავირუსული პანდემიის გამოისობით ჩვენ საკადრისი პატივი ვერ მივაგეთ მის ხსოვნას და ამჟამად, ამ მცირე, მოგვიანებით დადევნებული წერილით შევეცადეთ ჩვენი პატივისცემის გამოხატვა.

* * *

ღვინეფაძეების ფუძე სიმონეთში იყო და სიმონეთზე უზომოდ შეყვარებული თავისუფალი დროის დიდ ნაწილს აქ ატარებდა.

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა და დავით კლდიაშვილის დრამატურგია მისთვის ახლობელი იყო. სიმონეთშიც ხომ მათ სიახლოვეს ცხოვრობდა და ნათესაობაც აკავშირებდა.

ქალბატონი ნანა მუზეუმის გახსნის დღიდან მისი მემატიანე გახდა და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, დავით და სერგო კლდიაშვილებზე დაწერილი მრავალი სტატია თუ ნარკვევი გამოაქვეყნა. 30 წელი იღვაწა მან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. მუზეუმში ყველა დიდი შეხვედრა, საიუბილეო დღეების ქრონიკები, თეატრალური წარმოდგენები მისი კალმით ეცნობოდა საქართველოს. სიმონეთისათვის დროს ყოველთვის გამონახავდა. „სიმონეთი ჩემი იდილია, ჩემი რომანტიკაა, ხშირად აქ ჩამოსასვლელად საბარგო მანქანითაც კი მიმგზავრია“—იხსენებდა უკვე ხანდაზმული. „სოფლის მამიდა“ მან შეარქვა დავითის ქალიშვილს, მუზეუმის დამაარსებელსა და პირველ დირექტორს ნუცა კლდიაშვილს.

საოცრად დიდი თვალსაწიერით ნანა ღვინეფაძის შემოქმედება მრავალფეროვანი იყო. მან ჟურნალისტური გმირობა ჩაიდინა, როცა 1990 წლის თებერვალში, გაზეთს ჯერ კიდევ „კომუნისტი“ რომ ერქვა, გამოაქვეყნა ვრცელი ნარკვევი „შარავანდედი“და შთამომავლობას სამუდამოდ შემოუნახა მე-11 არმიის წინააღმდეგ მებრძოლი მოწყალების დის – მარო მაყაშვილის სახელი. იმ პერიოდში ამაზე საუბარი დიდი რისკი იყო. გამოქვეყნებული ნარკვევი წიგნად აიკინძა და სამჯერ გამოიცა სათაურით: „შარავანდედი“, ანუ „მარო მაყაშვილის ხატი სხვადასხვა შუქ-ჩრდილში“. ამასვე დაურთო მაროს დღიურებიც. ამ წიგნისათვის ნანა ღვინეფაძეს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია მიანიჭეს.

იგი ისტორიაში დარჩა, როგორც საუცხოო მთარგმნელი. ალბათ „ექიმი აიბოლიტი“-ბევრს ახსოვს, მისეული ანა ახმატოვას შემოქმედების თარგმანი კი აღტაცებას იწვევს.

2016 წლის აგვისტოს ბოლოს ქალბატონ ნანასთან ერთად დავგეგმეთ „სიმონეთური შეხვედრები“, მოვიწვიეთ სტუმრები რაიონიდან და სოფლიდან. ეს ჩემი, როგორც მუზეუმის დირექტორის პირველი ღონისძიებაა და რასაკვირველია ვღელავ. მოხდა საშინელება, წინა საღამოს ქალბატონი ნანა დაეცა და ხელი მოიტეხა. ურთულესი მოტეხილობა ქონდა, სასწრაფოდ უნდა გადაეყვანათ თბილისში. პიროვნულად საოცრად ნაზი და სათუთი, უმამაცესი აღმოჩნდა. ახლაც მესმის მისი სიტყვები „ღონისძიებას ხომ არ ჩავშლი, სტუმრები უკვე მოწვეულია, არ ივარგებს“-ო. სტუმრების წინაშე ლამაზად წარსდგა, ხელი ხილაბანდით ისე შეებურა, ვერავინ იეჭვებდა მომხდარს. გაუძლო უსაშინლეს ტკივილს და მისი სულიერი სიმტკიცე მაგალითად დაგვიტოვა.

საოცრად ლამაზი, შინაარსიანი, შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა ნანა ღვინეფაძემ, 2020 წლის ზაფხულში, 92 წლის ასაკში ისე წავიდა, ძველი სილამაზე, ხიბლი, ნათელი გონება შერჩენილი ქონდა.

შემოდგომაზე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის საიუბილეო 160-ე სეზონის გახსნაზე, ერთ-ერთი პირველი მსახიობი ქალის ეფრო კლდიაშვილის სახელობის ლოჟა გაიხსნა. მოეწყო წიგნის „ეფრო კლდიაშვილი“ პრეზენტაცია. საღამოზე განსაკუთრებული პატივით მოიხსენიეს თეატრმცოდნე ქალბატონი ნანა ღვინეფაძე, რომელმაც ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა, პირველმა შეისწავლა ეფროს შემოქმედება და გამოაქვეყნა მონოგრაფია.

ნამდვილად გვეამაყება, რომ ქალბატონი ნანა ღვინეფაძე თავისი კალმით ფარად გვედგა და სიმონეთს ასეთი სასახელო მამულიშვილი გვყავდა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას!

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი,
გაზეთი „თერჯოლა“

ცრემლიანი 5 ნოემბერი

5 ნოემბერს ერთი წელი გასრულდა, რაც გარდაიცვალა ნიჭიერი პედაგოგი და აღმზრდელი, ბარდუბნის საჯარო სკოლის დირექტორი რამაზ ბარდაველიძე. ამ დღეს ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა და ახლობლებმა კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მის ხსოვნას. მამა ამირანმა აკურთხა სკოლის შენობა, აღავლინა პარაკლისი. სკოლას, ამავე დღეს სტუმრობდა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, მან თან ჩამოიტანა 300 ცალი წიგნი სკოლის ბიბლიოთეკისთვის, რომელიც აწგარდაცვლილი რამაზ ბარდაველიძის შვილის, ამქვეყნიდან უდროოდ წასული საოცარი ახალგაზრდის, მარიამ ბარდაველიძის სახელს ატარებს.

ბატონმა გიორგიმ ბარდუბანში სტუმრობის ის დღე ასე აღწერა თავის „ფეისბუქ“ გვერდზე:

„ვიცი, თქვენი ფიქრი, ახლა სხვაგან არის მიმართული

და სრულიად სამართლიანადაც—ამიტომაც, ეს ხანია, არ გაწუხებთ პარალელური ამბებით. არც ვაპირებდი, მაგრამ დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი საქმე გავასრულეთ. გავასრულეთ კი არა, დავიწყეთ—უფრო სწორედ. ამიტომაც მოგიყვებით.

მარიამ ბარდაველიძე გახსოვთ, 23 წლის გოგონა, რომელიც რამდენიმე დღეში იმსხვერპლმა ავმა სენმა. დედამისიც გახსოვთ, ქალბატონი აზა, მარიამის დასახმარებლად შეგროვებული ფულის ნაწილის ჩემთვის დარიცხვას რომ აპირებდა—ეს დიდებული და გმირი ქალი, რომელსაც რამდენიმე თვის წინ ქმარიც გარდაეცვალა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ მარიამის სიცოცხლის ამქვეყნად გასაგრძელებლად საუკეთესო გზა მის სოფელში, მისსავე სკოლაში მისი სახელობის ბიბლიოთეკის მოწყობა იქნებოდა.

და აი, დღეს—ბარდუბნის სკოლაში, მარიამ ბარდაველიძის სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნა—ულამაზესი სამკითხველო, რომელიც ნინო ჩაკვეტაძის შემოწირული ნახატითაც დავამშვენეთ.

დღეს—სამასი წიგნი ჩავიტანეთ. ხვალ—ეს თაროები მთლიანად შეივსება.

დღეს—მარიამის 12 წლის დას—ლიზის გურული დღიურების ფონდის სტიპენდია დავუნიშნეთ—ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია დაგვეხმარა.

დღეს, მარიამის მამის, შესანიშნავი პედაგოგის, რამაზ ბარდაველიძის გარდაცვალებიდან ერთი წელი გასულა. შემთხვევითი იყო ეს დამთხვევა, მაგრამ ძალიან მძაფრი.

მაგრამ ამაზე მძაფრი რაც მოხდა—დღეს-ჩემი წიგნი მომაწოდეს, მარიამის ნაყიდი და მას სიკვდილის შემდეგ გავუკეთე სამახსოვრო წარწერა.

გზაზე, უკან მომავალმა, ყველა მომდგარი ცრემლი ჩავიბრუნე-დღეს სიცოცხლის დღე იყო და ამიტომაც. მარიამიც იცინოდა და მე რატომ უნდა მეტირა.

P.S. მადლობა დახმარებისთვის - პალიტრა L-ს, გიმნაზია „შავნაბადას”, ანა გაბედავას.“

ასევე „ფეისბუქ“ გვერდზე საპატიო სტუმრისადმი მადლიერება ასე გამოხატეს სკოლის პედაგოგებმა:

„ბარდუბნის საჯარო სკოლას დღეს საპატიო სტუმრები ეწვივნენ. გიორგი კეკელიძე—ჩვენი დროის გმირი. მარიამ ბარდაველიძის ოჯახის მხარდაჭერითა და გულისხმიერებით სკოლის ბიბლიოთეკას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომელიც შეივსო გიორგი კეკელიძის ჩამოტანილი წიგნებით. უღრმესი მადლობა მას სკოლის სახელით!!! „მადლობა მარის“—ასეთი იყო გიორგის სიტყვები გამომშვიდობებისას. მე კი მადლობას ვუხდი მარიამის ოჯახს. წიგნი ყოველთვის იყო და იქნება განათლებამდე მისასვლელი გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს. აგრეთვე, უღრმესი მადლობა ჩვენი დროის უნიჭიერეს მხატვარს ნინო ჩაკვეტაძეს, რომლის ხელოვნების ნიმუშმაც ბინა დაიდო სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლის კურთხევის დღე ამაღლებული, მაგრამ ამავე დროს სევდიანიც იყო. დღეს ერთი წელი გავიდა ბატონი რამაზ ბარდაველიძის გარდაცვალებიდან. ადამიანის, რომლის კარგი საქმე არასოდეს იქნება დავიწყებული. იმედი დავიტოვეთ, რომ გიორგი კეკელიძე და ნინო ჩაკვეტაძე ერთად გვესტუმრებიან ბარდუბნის საჯარო სკოლაში, სადაც მათ ერთი საერთო საქმით შეკრული გუნდი სითბოთი და იმედით დაელოდება! მადლობა სკოლის თითოეულ თანამშრომელს დღევანდელი დღისთვის! ჩვენ ერთი გუნდი ვართ. წინ, განათლებისკენ!!!“

გიორგი ჯუღელი „თერჯოლის ეტალონი მოსწავლე—2020“

2020 წლის „თერჯოლის ეტალონი მოსწავლე“ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე **გიორგი ჯუღელი** გახდა.

მეორე ადგილი ეწრის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **ცოტნე არაბიძემ**, ხოლო მესამე ადგილი ახალთერჯოლის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **ნინო აბჟანდაძემ** მოიპოვა.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ ღვანკითის საჯარო სკოლის ეზოში, კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დამტკიცებული რეკომენდაციების დაცვით ჩატარდა.



ინტელექტ-ჩემპიონატს ავტორი და წამყვანი **გოჩა ტყეშელაშვილი** უძღვებოდა. „ეტალონის“ მონაწილეები თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებში ჩატარებული 1-ლი ეტაპის სპეციალური ტესტირების შედეგად შეირჩნენ.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **მანუჩარ რობაქიძე** და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ, რომლებმაც საპრიზო ადგილზე გასულ მოსწავლეებს გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

გიორგი ჯუღელი თერჯოლის №2 საჯარო სკოლის XI კლასის წარჩინებული მოსწავლეა.

ეს სკოლა დაამთავრა გიორგის დედამ, ნანა დევიძემ, ხოლო უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ აქ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას დაოჯახებამდე. ახლა გიორგის მშობლები ქუთაისში ცხოვრობენ, ხოლო გიორგი თერჯოლაში, დედულეთში ბებიასა და დეიდასთან ცხოვრობს.

გიორგის სკოლა ასე ახასიათებს:

გიორგი ჯუღელის იმედი ყოველთვის მქონდა და მექნება, რადგან ფიზიკური, ინტელექტუალური განვითარების და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეა. აცნობიერებს თავის უფლებებს სკოლაში, იცავს მოსწავლის კოდექსს, მონაწილეობს დისკუსიებში, დამაჯერებლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს, ბევრს კითხულობს, მაძიებელია. სწორედ ამიტომ დიდი იმედი მქონდა მისი გამარჯვების და ბატონმა გოჩამ რომ გამოაცხადა თერჯოლის №2 საჯარო სკოლაა გამარჯვებულიო, იმდენად ემოციური იყო ეს ყველაფერი, მე მგონი ყველა გულშემატკივარი ცრემლებს ვმალავდით. ეს იყო დიდი სიამაყის გრძნობა. კიდევ ერთხელ ვულოცავ გიორგის ამ წარმატებას და დიდი იმედი მაქვს ფინალში წარმატების.

რუსუდან უსუფაშვილი,
თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

გიორგის გამარჯვებამ უდიდესი სიხარული მოუტანა მთელ სკოლას. ეს ისეთი ემოციური იყო, სიხარულისაგან ვტიროდით, რადგან თერჯოლაში „ეტალონი“ განსაკუთრებულ სიტუაციაში, პანდემიის გამო ღია ცის ქვეშ ჩატარდა და მონაწილეობის მიღებასაც კი ვყოყმანობდით, თუმცა გიორგის იმედი სულ გვქონდა, რადგან ის უაღრესად ინტელექტუალური მოსწავლეა, დინჯი, გაწონასწორებული, მიზანსწრაფული და დიდი პოტენციალის მქონე.

გიორგი თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის ინტელექტუალური გუნდის „რა, სად, როდის“ წევრი და ყველაზე საიმედო დასაყრდენია. გასულ წელს სკოლამ პირველი ადგილი რომ დაიკავა, მასში გიორგის დიდი ხვედრითი წილია. გიორგი ყოველთვის იქაა, სადაც ცოდნაა საჭირო. ამას მოწმობს გასული წლის „ტვინების ბრძლის“ შეჯიბრებაც, რომელშიც მისი კლასის ნაკრებმა დიდი წარმატებით იასპარეზა და საქართველოს მასშტაბით, ათეულშიც მოხვდა.

მარეხი მემანიშვილი
სკოლის კოორდინატორი ინტელექტის სფეროში

გოგნში ბუნებრივი აირი აინთო! ანუ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სრულ გაზიფიცირებამდე მხოლოდ ერთი სოფელი დარჩა

სოფელ გოგნის ისტორიაში, თავად გოგნელების ცხოვრებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელოვან თარიღად შევა 28 ოქტომბერი—დღე, როცა სოფლის საგანგებო სტუმრებმა: ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ, იმერეთის გუბერნატორთან, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის, „სოკარ ჯორჯიას“, რაიონის ხელმძღვანელობასა და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ბუნებრივი აირი პირველად აანთო გოგნელი ნუგზარ რობაქიძის ოჯახში. ბედნიერია ამ ოჯახის დიასახლისი ქალბატონი ნატო, ისე, როგორც ამ ეტაპზე, იმ 50-მდე სხვა ოჯახის დიასახლისი, რომელთაც აუხდათ დიდი ხნის ნატვრა.

ბუნებრივია, გოგნელები რომ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ მოცულობითი სამუშაოებისათვის, რაც ხელისუფლების ძალისხმევით ჩატარდა სოფლის გაზიფიცირებისათვის. აქ, ამ სოფლის 205 ოჯახამდე ბუნებრივი აირის მისაყვანად, 20 456 გრძივი მეტრი გაზსადენი აშენდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ გოგნის გაზიფიცირებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტი საქართველოს იმ გამორჩეული მუნიციპალიტეტების რიცხვში შევიდა, სადაც თითქმის დასრულებულია ყველა დასახლებული პუნქტის გაზიფიცირება, მაგრამ თუ ეს „თითქმის“, სხვა სასოფლო მუნიციპალიტეტებისათვის, ერთდროულად რამდენიმე დასახლებული პუნქტია, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ამჟამად გაზიფიცირებული არაა მხოლოდ ერთი პატარა სოფელი სეფარეთი, რაზედაც შესაბამისი მუშაობა უკვე მიმდინარეობს. იმედია, რომ ბუნებრივ აირს მალე სეფარეთლებიც მიიღებენ, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სრულ გაზიფიცირებას ნიშნავს! ეს კი თავისი შედეგებით სწორედ ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტი იქნება, რომელიც აგრერიგად არგია ჩვენს მოსახლეობას.

დიდი მწერლის მემორიალი ახალი ფუნქციით

ამ წერილის იმის აღნიშვნით დავიწყებ, რომ ჭარმაგ თუ ხანდაზმულ თერჯოლლებს კარგად ახსოვთ 1982—ჩვენი მიწის სახელოვანი შვილის მწერალ დავით კლდიაშვილის საიუბილეო წელი (დაბადებიდან 120-ე წლისთავი—რედ.). ბევრი რამ გაკეთდა მაშინ ქალაქ თერჯოლასა და მწერლის მშობლიურ სოფელ ზედა სიმონეთში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მწერლის მემორიალურ სახლს, განახლდა ექსპოზიცია, კაპიტალურად შეკეთდა მუზეუმამდე მისასვლელი გზა და გაიხსნა მისი მემორიალი ქალაქ თერჯოლაში **(მოქანდაკე ლევან მხეიძე, არქიტექტორი გივი თოდაძე)**.



გადიოდა წლები. მართალია, მემორიალს კანტი-კუნტად, მაგრამ დამთვალიერებელი მაინც მუდმივად ჰყავდა, აქ ღონისძიებებიც ტარდებოდა ხოლმე, მაგრამ წლების მანძილზე, აშკარა და თვალშისაცემი იყო, რომ დიდი სახალხო მწერლის ეს მემორიალი, მწერლისა, რომელიც მუდამ ხალხში იყო, რომელიც მათთან საუცხოო კონტაქტის წყალობით ზედმიწევნით კარგად იცნობდა იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრებას, მიტოვებული ადგილის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიაზე, ზოგჯერ, იქვე ჩაბმულ პირუტყვსაც მოჰკრავდით თვალს და ისე, შემთხვევით შევლილ-გავლილსაც.

რა თქმა უნდა, მემორიალის გახსნიდან დღემდე, განვლილმა თითქმის ოთხმა ათეულმა წელმა თავისი კვალი დაატყო მემორიალის როგორც არქიტექტურულ ნაწილს, ისე იქ განთავსებულ ქანდაკებებსა და ბარელიეფებს.

მემორიალს „სულზე მოუსწრესო“, რომ იტყვიან, სწორედ ასე მოხდა. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში ჩაისახა ჩვენის აზრით მეტად კარგი ე.წ. „თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის პროექტი“, რომლის პირველი ეტაპის ანუ მიმდინარე წლის შესასრულებელი სამუშაოთა ნუსხით დავით კლდიაშვილის მემორიალის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობაც დაიგეგმა. ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის პროექტი ასევე ითვალისწინებდა მემორიალიდან ავტოსადგურამდე ცენტრალური ქუჩის ორივე მხარეს ბეტონის კონსტრუქციის მოწყობას, ასევე მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე, ამ შენობის წინ, ქუჩის მეორე მხარეზე არსებული სკვერისა და „ავერსის“ აფთიაქის შენობის გვერდით, სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მემორიალის ტერიტორიების კეთილმოწყობას. ამ ობიექტთა ირგვლივ თავიდანვე გამოავლინა ინტერესი თერჯოლის საზოგადოებამ. ამ პროექტებს, განსაკუთრებით დავით კლდიაშვილის მემორიალზე შესასრულებელ სამუშაოებს ჩვენი გაზეთიც აქტიურად გამოეხმაურა. შენიშვნის სახით მაშინ გამოვთქვით მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა თუ მემორიალის ქანდაკებების და ბარელიეფების აღქმას ხელს არ შეუშლიდა სკვერის დატვირთვა ახალი არქიტექტურული ფორმებით და სხვა.

მემორიალზე, ისე როგორც დანარჩენ სკვერებზე სამუშაოები შპს „ჯორჯიან სტოუნიმ“ შეასრულა, უნდა ითქვას, რომ მშენებლებმა მართლაც კარგად იმუშავეს. ისინი დროშიც „ჩაჯდნენ“ და არც ხარისხთან იყვნენ მწყრალად. მოკლედ რომ ვთქვათ, მათი წყალობით, ამ კორონაჟამიანობისას ოთხი მშვენიერი სკვერი შეემატა ქალაქ თერჯოლას. მართალია, დავით კლდიაშვილის მემორიალზე ამჟამად ერთგვარად ჭარბობს კიდეც ახალი არქიტექტურული წერტილები, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ მემორიალი ასეთი დასასვენებელი სკვერის წყალობით უფრო მეტ ადამიანს მიიზიდავს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რაც მნიშვნელოვანია დიდი მწერლის შესახებ მათი ცნობიერების გაღრმავებისათვის. ამ მხრივ კარგი იქნება თუ მომავალში მემორიალზე მცირე საინფორმაციო სტენდსაც განვათავსებთ შესაბამისი ტექსტით რამდენიმე ენაზე.

***

30 ოქტომბერს დავით კლდიაშვილის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის გახსნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სკვერში, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის „ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის“ ფარგლებში გაკეთდა, მოეწყო საბავშვო კუთხე, დაიდგა კომფორტული დასასვენებელი სკამები, დამონტაჟდა დეკორატიული სანათები, მოიკირწყლა ბილიკები. სკვერის ტერიტორია სხვადასხვა სახეობის მცენარით გამწვანდა. განახლებული სკვერის გარშემო ღობე და ავტოსადგომი მოეწყო.

სკვერის გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გურამ თურქაძემ, დავით კლდიაშვილის მუზეუმის დირექტორმა ლალი ღვინეფაძემ, რომლებმაც სასიქადულო მწერლის, დავით კლდიაშვილის შესახებ ისაუბრეს და საზოგადოებას მიულოცეს კიდევ ერთი სკვერის გახსნა, სადაც მწერლისა და მისი ცნობილი პერსონაჟების ქანდაკებები და ბარელიეფები განსაკუთრებულ გარემოს ქმნიან.

„ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, მოეწყო ოთხი სკვერი ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე, ასევე იმერული ჭიშკრები და ღობეები რუსთაველის ქუჩაზე, რამაც თერჯოლის იერ-სახე მნიშვნელოვნად შეცვალა და გაალამაზა. ეს ქალაქი ყველასია, ამიტომ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ სისუფთავე, გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მას“,—აღნიშნა თავის გამოსვლაში მერის მოვალეობის შემსრულებელმა.

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ“...

„სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“, „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“—წერია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 და 32-ე მუხლებში.

** * **

როგორ სრულდება კონსტიტუციის ეს უმნიშვნელოვანესი მუხლები, როგორ მფარველობს სახელმწიფო ლუკმა პურისათვის გადახვეწილ თანამემამულეებს, ძნელი სათქმელია. არავინ იცის როგორ ცხოვრობენ ისინი, რამდენი პატარა ქართველი უზის მერხს, ან არ უზის, მათ ხომ იაკობ გოგებაშვილის დედაენას არავინ აზიარებს, თითის გაყოლებით, დამარცვლით არავინ წააკითხებს ორ სანუკვარ სიტყვას „აი ია“-ს და პირველ საანბანო საკითხავ წიგნს. მათ არ ეცოდინებათ—„შვლის ნუკრის ნაამბობი“, „წიქარა“, „ქაჯანა“, „თინას ლეკური“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „ლაზარე“, „სამშობლო ხევსურისა“, „ვეფხი და მოყმე“ და მრავალი სხვა, ქართული ხალხური პოეზიის თუ ქართული მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები, ვერ გაეცნობიან ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაკტიონს, მურმან ლებანიძეს, შოთა ნიშნიანიძეს, ანა კალანდაძეს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, ჭაბუა ამირეჯიბს, სხვებს მრავალს, თვალები ცრემლით არ აევსებათ სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებისათვის, ვერ წაიკითხავენ საქართველოს ისტორიას უძველეს დროიდან დღემდე და ვერც „სამშობლოს გრძნობას გასაკვირველს“ მოინატრებენ, რადგან არ ეცოდინებათ ენა ქართული, „ენა შემკული და კურთხეული“.

** * **

„თქვენ დიდი საქმე გააკეთეთ, გადაარჩინეთ ოჯახები, მაგრამ დიდხანს აქ დარჩენა არ შეიძლება“—უთქვამს წლების წინ უწმინდესს და უნეტარეს ილია მეორეს ათენში ქართველებთან შეხვედრისას. „ქართველები თავიანთი გამორჩეული ნიჭის წყალობით, განსაკუთრებული წარმატებით ითვისებენ უცხო ენას და ადვილად ეგუებიან მასპინძელი ქვეყნის ადათ-წესებს, ამავე დროს სწრაფად ავიწყდებათ მშობლიური ენა და ქართული ადათ-წესები. იმ ქართველთა რაოდენობა, რომლებმაც საქართველო მხოლოდ გადმოცემით იციან, განუხრელად იზრდება, ბევრს ლაპარაკი ავიწყდება და სულ უფრო ნაკლებად აღიქვამენ თავს ქართველებად—წერდა წლების წინ საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი საბერძნეთში.

დედაშვილობის მადლი

გიგი ჯიქიძე—სიქთარვის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

„როდესაც დედაჩემი იტალიაში წავიდა, 11 წლის ვიყავი, შესაბამისად, ამ ყველაფერს თავდაპირველად ვერ ვაცნობიერებდი. უდიდესია მონატრება, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, ცოტათი მაინც შევამციროთ ეს გრძნობა. მისი წასვლის შემდეგ ძალიან მგრძნობიარე გავხდი გარე სამყაროზე. თავდაპირველი პერიოდი ძალიან რთული იყო ჩემთვის, მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანი ეჩვევა მისთვის საყვარელი ადამიანის სიშორეს, რადგან რწმენა იმისა, რომ ის ბოლოჯერ არ გინახავს და მომავალში კვლავ ნახავ და მასთან ბევრი დრო გექნება გასატარებლად უდიდეს ძალას აძლევს ადამიანს. მიჯაჭვულობა, რომელიც იქმნება მშობელსა და შვილს შორის, საბოლოოდ განშორებისას იშლება, ხოლო ამ განცდიდან მიღებული ფსიქოლოგიური ნიუანსი კი იწვევს შფოთვით აშლილობას. სწორედ იგივე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც, შფოთვითი აშლილობის ორი სახე გამომივლინდა. ესენია: სოციალური ფობია და განშორების შფოთვითი აშლილობა. მშობელთან განშორების შემდეგ მქონდა—პანიკა, შიში, მუდმივი თავდაუჯერებულობა, კონცენტრაციის პრობლემები, გაღიზიანებადობა, დეპრესიულობა. არა აქვს მნიშვნელობა, ბავშვი რამდენი წლისაა, ის მაინც დიდ ტკივილს განიცდის განშორების შემდეგ, მისთვის რთულია, ფეხი აუწყოს ახალ ცვლილებებს, შეეგუოს მათ და იცხოვროს მათთან ერთად. განშორების შემდეგ მიღებული დანაკლისის გრძნობამ მაჩვენა რამდენად მნიშვნელოვანი არის შენთვის ძვირფას ადამიანთან დროის გატარება, ძალიან ბედნიერი ვარ, როდესაც დილით ვდგები და სამზარეულოდან მამაჩემისა და დედაჩემის ტელეფონზე საუბრის ხმა მესმის, შემდეგ ჩემ ძმასაც ვაღვიძებ და ერთად ვსაუზმობთ, იტალიიდან კი დედა გვესაუბრება. დედასთან განშორება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი ნაწილია, მაგრამ რომ არა ის, მაშინ მე დღეს ის არ ვიქნებოდი, ვინც ვარ, ის ასწავლის ადამიანს, როგორ იდგეს მყარად ყველა პრობლემის წინაშე და როგორ იყოს დამოუკიდებელი. ზოგი ამბობს, რომ სიშორე ურთიერთობებს ცვლის, ასეც არის, მაგრამ დედაშვილური ურთერთობა ჩემთვის მაინც შეუცვლელია. უკვე 4 წელზე მეტია, რაც დედაჩემი იტალიაშია და ამ თემაზე საუბრისას სულ ცრემლები მოსდის, მე კი ვცდილობ დავამშვიდო. ჩვენ 4 წელია ერთმანეთი არ გვინახავს და დედაჩემს ამხელა მონატრება აქვს ჩვენდამი, ქვეყნისადმი და წარმომიდგენია სხვები, ვინც გაცილებით დიდხანს იმყოფებიან საზღვარგარეთ, როგორი იქნება მათი ნოსტალგია. 2015 წელს ოცნებების სიაში ერთი პუნქტი დავამატე—ეს იყო დედას ნახვა და ვიცი, რომ მალე ამისრულდება, ყველა ემიგრანტს მთელი გულით ვუსურვებ საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებას“.

მირანდა ჯიქიძე—მშობელი, გიგის დედა.

ბინდი ეშვება შორეული მთის კონტურებს, გაიყინა მზერა მუქ ფერებში... ეჰ... კიდევ ერთი გულის მომწამვლელი დღე გათენდა, დღე კიდევ არაფერი... შრომობ და აღარ უტოვებ თავს ფიქრის დროს, ფუტკარივით მთელი დღე დაფარფატებ გათვლილ და გაზეპირებულ საქმით იღლები, მაგრამ არაფერი... ეგ არაფერი... დღის ბოლოს უფრო სწორად ღამის დასაწყისში, როცა შენს ოთახში მარტო რჩები საკუთარ თავთან, აი მაშინ ნიაღვარივით მოგაწყდება მონატრების და სულის ტკივილის აუტანელი ტკივილი, კრუნჩხვას იწვევს, როცა გინდა გულში ჩაიკრა შენი შვილები, მათი კანის სურნელი შეიგრძნო, მათი გულის ფეთქვა იგრძნო, მკერდთან მათი ტკბილი სითბო შეიგრძნო. ოჯახი, სახლი, ეზო-კარი, მინდორი, მთა, გარდაცვლილი მშობლების, ძმის, დისშვილების საფლავის მიწის ნახვაც კი სანატრელი გამიხდა... ადამიანი უცნაური რამ არის... შეჩვეულს ყურადღებას არც აქცევს... და როცა ასე შორს ვარ, ყველა ხე, ღელე, ყორე, მინდორი, მთა თუ ცაზე გაჩენილი ღრუბლის ფთილებიც მახსოვს და მენატრება, არსად არ არის ისეთი ცა, როგორც ჩვენთან, არსად არ არის ისეთი წყაროები, როგორც ჩვენთან და ჰაერი... კი არ სუნთქავ ლივლივებ მასში... მერე დილის აისი რად ღირს... ფერადი ფერებით აჭრელებული ცის რკალი და მზის გვირგვინი... თან როგორი ჟრიამულით ხვდება ბუნება განთიადს, ენით აუწერელი სიამოვნებაა, სამშობლოში შენი ცის ქვეშ თვალის გახელა და შენი ოჯახის ჭერქვეშ საკუთარი შვილების ძილღვიძილში ნახვა, მოფერება და ფრთხილად, ზრუნვით და სიყვარულით შეფხიზლება.

გვანცა ქარქაშაძე—„მზეკაბანი 2007“-ის IX კლასის მოსწავლე

ემიგრანტი დედის შვილობა არაა ადვილი. ამას ის უფრო გამიგებს, ვისაც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი... 4 წლის ვიყავი, როცა დედა იტალიაში წავიდა სამუშაოდ, ფაქტიურად, ეს პერიოდი არც კი მახსოვს. მე ბებომ და მამამ გამზარდეს. ერთი შეხედვით, არაფერი მაკლია, მაგრამ არის მომენტები, როცა დედა ძალიან მჭირდება და მხოლოდ მის გვერდით, მინდა ყოფნა. უფრო პატარა რომ ვიყავი, მტკივნეულად განვიცდიდი, როცა მშობელთა კრებებზე ყველა თანაკლასელის დედა მოდიოდა, მე კი ეს „ბედნიერება“ მაკლდა, თუმცა მამა არცერთ სასკოლო ღონისძიებას არ აკლდება, მაგრამ დედა მაინც დედაა...

მონატრების დაძლევაში უკვე ის მეხმარება, რომ დედა ხშირად ჩამოდის საქართველოში, ერთხელ მეც ვიყავი მასთან წასული არდადეგებზე, ამასთან ერთად, ვსწავლობ ისეთ სკოლაში, სადაც ბევრია ემიგრანტი მშობლების შვილი... სკოლა ჩვენი მეორე დიდი ოჯახია. აქ გარემოა ისეთი, რომელიც სულში გაჩენილ სიცარიელეს ავსებს, მაგრამ ვოცნებობ ისეთ დღეზე, როცა ყველა ემიგრანტი დაბრუნდება საკუთარ ოჯახში.

ვიცი, ამ წერილს დედა უცრემლოდ ვერ წაიკითხავს. მას ჩემზე მეტად უჭირდა გასული წლების გადატანა, რადგან მე ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად მაინც ვარ, ის კი შორსაა, უცხოეთში, სხვა ქვეყანაში, უცნობი ადამიანების გვერდით.

მინდა გავამხნევო აქედან და კიდევ ერთხელ ვუთხრა: დედიკო, ძალიან მიყვარხარ!

სოფიკო ძურცაძე, მშობელი, გვანცას დედა.

ემიგრანტი ქალები, ჩვენი დროის ჩვეულებრივი გმირები არიან. ემიგრანტის შრომა ბრძოლაცაა, საკუთარ თავთან ჭიდილიც, ლოცვის ნაწილიცაა პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ნოსტალგიით გაჯერებული ყოფადობა. ეს ყველაფერი კი, არც თუ ისე ადვილია, როგორც ბევრს წარმოუდგენია. დღეს მე ემიგრანტი დედა ვარ ყველა ამ თვისების მატარებელი და ამ გადმოსახედიდან თამამად ვიტყვი, რომ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული და უაღრესად საჭირო გადაწყვეტილება, რადგან შვილის კეთილდღეობას წინ უდგას.

ათი წლის წინ დავტოვე სახლი, სამსახური, მეუღლე და ყველაზე მთავარი, დავტოვე სევდა ჩემი ციცქნა სევდა სახელად „გვანცა“. ჩემი მზესავით მანათობელი გოგო. ის დღეს ქ. თერჯოლის კერძო სკოლის „მზეკაბანი 2007“-ის მეცხრე კლასის მოსწავლეა. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული შიშისა, არასოდეს დამიკარგავს იმედი, რომ სკოლა, სადაც მე ვმუშაობდი და კოლექტივი, რომელიც ჩემი მეორე ოჯახი იყო არ აგრძნობინებდა გვანცას დედის სიშორეს. მართლაც, არ შემიძლია არ გამოვხატო უდიდესი მადლიერება „მზეკაბანი 2007“-ის სულისჩამდგმელის, საოცრად დიდი ადამიანის აწ უკვე განსვენებული ქალბატონი ნინელი გვენეტაძის მიმართ, მისი ამაგი შეუფასებელია, არამარტო ჩემი შვილის, არამედ თითოეული მოსწავლის განათლებაში. მადლობელი ვარ პედაგოგებისა, რომლებიც დედასავით ზრუნავენ ჩემ „ერთაზე“ და მე დღეს ამაყი ვარ ასეთი შვილი რომ აღმიზარდეს, გვანცას დედის სიშორეს უმსუბუქებს ასევე მამა, ჩემი მეუღლე, რომელიც მის გვერდითაა ყოველ წუთსა და წამს, არ შემიძლია გვერდი ავუარო მის ღვაწლს და საჯაროდ მადლობა არ გადავუხადო, ასეთი გვერდით დგომისათვის.

მიუხედავად ამდენი ყურადღებისა და სიყვარულისა, მე... დედას, არ მასვენებს მისი მონატრება, გულის ფეთქვის მოსმენის.

ახლა გვანცა ცხოვრების კიდევ უფრო საპასუხისმგებლო ეტაპზეა, დიდ ასპარეზზე გადასასვლელად იწყებს მზადებას. წარმატებას და კეთილდღეობას ვუსურვებ მას და მის საოცრად თბილ თანაკლასელებს.

გამიგრძელდა სათქმელი, მაგრამ მომეტევება. პედაგოგებს მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო, რადგან ჩემგან მადლობის სიტყვები არასაკმარისია იმ გაწეული შრომისათვის, ჯაფისათვის, სიყვარულისათვის, რასაც ჩემი გვანცას მიმართ იჩენენ და ამით ჩემს ემიგრანტულ ყოფას მიმსუბუქებენ.

და ბოლოს მინდა გისურვოთ შემართებით გეღვაწოთ მომავალი თაობის აღსაზრდელად.

ნუ დაღონდები დედას მონატრებულო გიგი, გვანცა! ნუ დაღონდები ქალბატონო მირანდა, ქალბატონო სოფო! თქვენ დაბრუნდებით, სხვებიც დაბრუნდებიან და ყველანი ერთად ვიქნებით, ერთ ჭერქვეშ, ერთ ფრთებქვეშ ჩვენ სათაყვანებელ ქართულ მიწაზე. ჩვენ, თერჯოლაში, თქვენ და თქვენისთანებმა, ჩემმა ჭკვიანმა, ლამაზმა, განათლებულმა ქალებმა მართლაც „გადაარჩინეთ ოჯახები“, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, თქვენი შვილები ოცნებების სიაში თქვენი ნახვის „პუნქტს“ ამატებენ, გიგის განცდები „შიში, პანიკა, ნერვიულობა, გაღიზიანება, დეპრესია, თავდაუჯერებლობა, შფოთვა“—ახლობელია ყველა იმ მოზარდისათვის, რომლებიც დროებით მოწყვეტილნი არიან დედის განუმეორებელ სითბოს. ყური მიუგდეთ შვილების განწყობილებას...

ჟუჟუნა ცხადაძე

ჯანიკო რობაქიძე



ოთხმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა ჯანიკო დავითის ძე რობაქიძე.

ოჯახს, საზოგადოებას, სამეგობროს გამოაკლდა ღირსეული ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი გამორჩეული პატიოსნებით, სიყვარულით, ერთგულებითა და კაცურკაცობის საუკეთესო თვისებებით.

ჯანიკო რობაქიძე დაიბადა თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერში, უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს ზოოტექნიკურ სავეტერინარო სასწავლო კვლევით ინსტიტუტში ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაციით. მუშაობდა თერჯოლის მეფრინველეობის ფაბრიკაში უფროს ვეტექიმად, ქვედა სიმონეთის ვეტუბანში, ბოლოს კი თავის მშობლიურ სოფელში ვეტუბნის გამგედ.

იყო თავისი სპეციალობის კარგი მცოდნე. ჰქონდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, გამოირჩეოდა კოლეგებთან კარგი დამოკიდებულებით.

წავიდა ქვეყნიდან კარგი ოჯახის თავკაცი, სანიმუშო მეუღლე, სამი შვილისა და შვიდი შვილიშვილის ბაბუა. ამ დიდებული ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ გულებში, ვინც კი მას იცნობდა.

იძინე მშვიდად სიცოცხლეზე და ოჯახზე შეყვარებულო ადამიანო, ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს შენს ლამაზ სულს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

ოჯახი

მანანა და დავით კლდიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ჩაფიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კროსვორდი
ზოგჯერ გართობაც საქმეა



1. ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთი. 2. ის მედუქნეს გირაოში ლენინის ორდენს უტოვებდა ხოლმე. 3. ლეგენდა ამბობს, რომ ძველი დროის უდიდესმა მათემატიკოსმა გამრავლების ტაბულა ზეპირად არ იცოდა... დაასახელეთ. 4. შესაკრებთა გადაადგილებით რა არ იცვლება? 5. საკვები, რასაც ერთმანეთსაც ესვრიან გაბრაზებული ადამიანები. 6. დეპუტატი სადაური სიტყვაა? 7. აკაკის პოემა. 8. წვის შედეგად დარჩენილი მასა, ზოგჯერ თვალებში ვაყრით ერთმანეთს. 9. როდესაც რამე ხდება. 10. მისი ნაყოფის გული შეიძლება ცხრა ნაწილადაც კი გაიყოს. 11. ვის არ სჯერა, რომ პირბადე ვერ დაიცავს კორონავირუსისგან. 12. ოვალური ბურთით თამაში. 13. მას ყურებზე დასაჭრელადაც იყენებენ. 14. ის სიამოვნებას განაცდევინებს ადამიანებს. ზოგ შემთხვევაში ხოცავს კიდეც მათ. 15. მას ეკუთვნის სიტყვები „ადამიანები იტყუებიან სამ შემთხვევაში: ომიდან დაბრუნებისას, ნადირობის შემდეგ და არჩევნების დაწყებამდე—დაასახელეთ. 16. ძველი ისტორიული და კულტურის ცენტრი, სადაც მრავალი წელია სინათლეს ელის უნიკალური სამუზეუმე ფასეულობანი... 17. ჩუმი, გაიძვერა ადამიანი. 18. წითელი ანუ... 19. სათაყვანო, მისაბაძი ადამიანი. 20. ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლო.

სტრიქონები

—სამართლის სახელით ჩადენილ უსამართლობას—ზოგჯერ უხდიან მადლობას.

—სამშობლოზე მხოლოდ სიყვარულით ლაპარაკის უფლება გვაქვს.

—მადლობა სიძულვილს—სიყვარულის ფასი გვაგრძნობინა.

—როცა ვლოცულობთ ცრურწმენა სიბნელეში იკარგება.

—განდიდების მანია—სულმდაბლობა.

—გემოვნება? იგივე ხელოვნება.

—ის თავის უფალია, ვინც შურისგან თავისუფალია.

—წიგნს მოსვენება არ უნდა მისცე!

—ტვინი გვკარნახობს, სიტყვა ახმიანებს.

მხატვრის ფანქრით



—როგორ არ გეშინიათ პირბადის გარეშე...
—„მე ომამდე ტანკისტი ვიყავი“...

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. ბუნება. 2. მამულაშვილი (მიხეილი). 3. ზარნაძე (ნიკოლოზი). 4. ლაღიძე (რეზო). 5. ბრაკონიერი. 6. ვაჟა-ფშაველა. 7. მუხნარი. 8. ბორჯომი. 9. ჯაფარიძე (ალიოშა). 10. ძელქვა. 11. ნაკრძალი. 12. ნუნისი. 13. მერქანი. 14. ბულბული. 15. შევარდნაძე (ზურიკელა). 16. ჭალა. 17. საირმე. 18. არაგვი.

რიტა ბუცხრიკიძე— აუსრულებელი ოცნებებით წავიდა...

დაო და მეგობარო, უდიდესია გულისტკივილი, რომელიც შენი ამქვეყნიდან წასვლის ამბავმა მოგვიტანა, რასაც კიდევ უფრო გვიმძაფრებს ის განცდა, რომ უკანასკნელ გზაზედაც კი ვერ გაგაცილეთ...

როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, უკან ვიხედებით და ვიხსენებთ შენს გამოჩენას თერჯოლაში.

აფხაზეთში გაიზარდე და სულით და ხორცით გიყვარდა შენი „ესტონკა“, თუმცა ერთმორწმუნე „ძმებმა“ და თანამოსახლე აფხაზებმა, სეპარატისტებმა, მას შემდეგ რაც საქართველომ თავისუფლების სურვილი გააჟღერა, არ გაპატიეს და „სისხლის წვიმებს“ გადარჩენილი, უსახლკაროდ დარჩენილები, თქვენსავე სამშობლოში დევნილებად გაქციეს. მშობლებთან ერთად თერჯოლას, წინაპართა ძირძველ საცხოვრისს მოაშურეთ, ჯერ სიქთარვაში შორეული ნათესავის მიტოვებულ სახლში უკანდაბრუნების იმედსა და ოცნებაში გაატარეთ წლები, შემდეგ კი დევნილებისათვის გადაცემულ ყოფილი საავადმყოფოს შენობაში დაიდეთ ბინა...

წუთით ვერ ივიწყებდი შენ უდარდელ-უზრუნველ ბავშვობას, სახლ-კარსა და ეზო გარემოს, სადაც ფეხი აიდგი, გაიზარდე, ტოლ-მეგობრებში გაერიე, მშობლებთან და და-ძმებთან ერთად ბედნიერი წლები გამოიარე...

გტკიოდა და გაფორიაქებდა წარსული და დაბრუნების იმედს წუთით არ კარგავდი...

მადლიერი იყავი იმ სითბოსა და სიყვარულისათვის, რასაც თერჯოლაში იღებდი, თუმცა, საჯაროდ აცხადებდი: „მინდა ყველამ იცოდეს, ჩემი გული და სული იქაა, აფხაზეთში, ვცოცხლობ იმის იმედით, რომ ოდესმე ჩვენს მშობლიურ კერაზე დავბრუნდებით, პირადად სულაც ხის ძირას ვიცხოვრებ, ოღონდ ეს ნატვრა ამიხდეს, ისე არ წავიდე ამქვეყნიდან, იმ ზღაპრულ მიწაზე არ შევდგა ფეხი, იქაურობა კვლავ ქართველებით არ ვნახო დასახლებულიო“...

სამწუხაროდ, შენი ოცნება ვერ აიხდინე, რიტა... როგორ ვანუგეშოთ შენი დედიკო... ახლობლები...

წახვედი და წაიღე შენი წილი სიხარული, ბედნიერება და შენი განუყრელი სევდა...

დატოვე ტკივილი ნაცნობ-მეგობრებში, სიყვარული, გულითადი მეგობრობის ხიბლი.

თერჯოლაში თითქმის 30-წლიანი თანაცხოვრებით აქაურებს თავი გაგვაცანი როგორც ნიჭიერმა, შემოქმედმა, მეოცნებე ქალბატონმა...

შენი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა გარდაისახებოდა ხან ლექსებში, ხანაც პიესებში, თუმცა მათში ყოველთვის მომავლის იმედის განცდა არ გტოვებდა...

საქართველო მოიარა და არა მხოლოდ საქართველო, ქვეყნის ფარგლებს გასცდა შენი „მშვიდობის ჩიტები“, რომლის თავისუფლებისმოყვარე გმირებმა მაყურებელს და თავად პიესის მონაწილე გოგობიჭებს ღრმად გააააზრებინეს რას ნიშნავს თავისუფლება და როგორ იბრძვის ამისათვის თითოეული საღად მოაზროვნე ადამიანი, ამჯერად ჩიტების სახით...

ბოლო ხუთი წელი ებრძოდი უკურნებელ სენს... ფარხმალს არ ყრიდი... იმედს არ კარგავდი... მადლიერებას გამოხატავდი ყველას და ყველაფრის მიმართ, ვინც კი გვერდით გედგა ფინანსურად თუ მორალურად...

სრულიად თერჯოლლებთან ერთად ვწუხვართ და განვიცდით შენი რედაქციელი მეგობრები... ვწუხვართ, რომ ვერ შევძელით შენი ტკივილის შემსუბუქება, ძალიან დაგვაკლდები რიტა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული...

მზია ცქიფურიშვილი

ქარიანი ღამის საზარელი გამოძახილი
მარიამ ბარდაველიძე

იყო თბილი, ქარიანი ღამე, იყო უამრავი შეგროვილი ნივთი გასაყიდად გამზადებული, იყო ფუსფუსი ანკარა წყაროსავით წმინდა გულებისა, იყო იმედი, მოლოდინი მეგობრის გადარჩენისა...



...იყო სულ ცოტა დარჩენილი გათენებამდე, მხოლოდ რამდენიმე წუთი დაისვენეს, ძალა რომ ჰქონოდათ კვლავ ემღერათ, გაეყიდათ, შეეგროვებინათ...

...და მოჰყვა ქარიან ღამეს საზარელი გამოძახილი: მარი მომკვდარა... ცეცხლად მოედო ყველას გულს, სიტყვები, თითქოს დაიფერფლა ყოველივე ირგვლივ. მუხლმოკვეთილებმა მაინც შეძლეს წამოდგომა, მარიამის ჭიშკართან მისვლა, ქართან ერთად ისმოდა გმინვა მეგობრებისა. შეუწყვეტელ ცრემლთა დინებამ ადამიანთა გულები თითქმის გააჩერა. უცხოეთშიც ტიროდნენ—ნაცნობნი, უცნობნი....

....და გაჰყვა ოცნებები ქარიან ღამეს...

....აუყვა ზეცას ლამაზი ფიქრები...

....და ჩაეხუტა კვლავ ღამე, ღამეს...

და დაიწყებენ მბობას გარდასულ დღეთა ამბებისას. მონატრებული გულებით ერთმანეთს ჩაეხუტება მამა-შვილი, აჩქარდება პულსი მოდუნებული სიცოცხლის ფონზე...

იქ, სადღაც შორს, ცის კაბადონზე, იმ ლამაზ სამყაროში, ისევ დაწერს წერილებს შავთვალა გოგო და გვაგრძნობინებს თავისი სულის მარადისობას...

წერილი დედას

მინდა დაიჯერო დე, რომ ჩვენ ისევ ის დიდი ოჯახი ვართ, მინდა დაიჯერო, რომ მე და მამიკო ერთმანეთის მაჯისცემას ყურმიდებულნი, თქვენს მაჯისცემასაც ვუსმენთ. თქვენი ტკივილი გვტკივა, ამიტომ ღიმილიც გვინდა თქვენი, დე. გახსოვდეს, ყველაზე სუსხიან ზამთარსაც კი გაზაფხული მოყვება...

ჩვენი ოჯახის გაზაფხულიც დადგება დე!!!...

ყველა ველოდებოდით დღემდე ნუგეშს და აი, ღმერთმა მოგვცა ნუგეში—მარიამის ერთ-ერთმა მრავალწლიანმა ოცნებამ ფრთები შეისხა. მის სკოლაში, მისივე სახელობის ბიბლიოთეკა იხსნება, თანამედროვე სტანდარტებით, ბატონ გიორგი კეკელიძის ხელმძღვანელობით. ბარდუბნის საჯარო სკოლის დირექტორი, ყველა პედაგოგი, მარიამ ბარდაველიძის ყველა მეგობარი კიდევ ერთხელ გამოხატავს უდიდეს ტკივილს, სიცოცხლით სავსე მარიამის გამო და უდიდეს მადლობას უხდის ბატონ გიორგის ღირსეული ქმედებისთვის. სწორედ ასეთნი მატებენ ძალას სასოწარკვეთილ ადამიანებს.

ღმერთო, გვაკმარე განსაცდელი და კვლავ გვაგრძნობინე მარიამის სულის მარადისობა.

ბარდუბნის საჯარო სკოლა

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე ბაღის მუსიკის მასწავლებელს, ზაირა სულამანიძეს მამის

შალვა სულამანიძის

გარდაცვალების გამო.

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

ჯანიკო როგაძიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დავარღვიოთ დუმილი! დავამარცხოთ ძალადობა!

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. აქვთ განსხვავებული შეხედულებები და მისწრაფებები. უყალიბდებათ სხვადასხვა ურთიერთობები ოჯახთან, მეგობრებთან, საზოგადოების სხვადასხვა წრესთან. თუ ადამიანების მიმართ პატივისცემითა და თანაგრძნობით განვეწყობით, თუ ვაღიარებთ მათ კარგ თვისებებს და მიზანმიმართულად არ ვეცდებით უარყოფითის აღმოჩენას, არ დაგვრჩება დრო ძალადობაზე ფიქრისთვისაც კი.

ეს შესავალი შეგნებულად დავწერე. გამახსენდა ამ რამდენიმე წლის წინანდელი ერთ-ერთი შეხვედრა ძალადობის თემაზე, რომელსაც მხოლოდ მანდილოსნები ვესწრებოდით. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთმა ქალბატონმა გულწრფელად და მტკივნეულად ისაუბრა ოჯახის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე. დარბაზი გარინდული ისმენდა მის „აღსარებას“. პირადად ჩემს სინამდილეში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ნავსი გატყდა და ქალი ალაპარაკდა, და რაც მთავარია, ალაპარაკდა საჯაროდ იმ პრობლემაზე, რომელთანაც პირისპირ შეხვედრაც არაერთ მანდილოსანს ჰქონია. პირველი, რაც გავიფიქრე, იყო შემდეგი: რატომაც არა! სწორედ ჩვენ, ქალებმა უნდა ავიმაღლოთ ხმა ჩვენი უფლებების დასაცავად, სწორედაც პირველ რიგში ჩვენ უნდა დავიცვათ ერთმანეთის უფლებები. არადა, საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ქალთა უფლებები საკანონმდებლო დონეზე აიყვანა, როცა ჯერ კიდევ 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებზე დამფუძნებელი კრების წევრებად მამაკაცებთან ერთად 5 ქალი აირჩია. 1921 წელს კი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ჩაიწერა: „ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია პოლიტიკური, ეკონომიკური, სამოქალაქო და საოჯახო უფლებით“.

2019 წლის სექტემბერში, ღვანკითის საჯარო სკოლაში, შემოვიდა თავისი საქმიანობით საკმაოდ ცნობილი კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ და ქალბატონი ნინო ჭაბუკიანი. სამიზნედ შეირჩა მეათე კლასი და მუშაობაც დაიწყო. ზოგადი მიმართულება იყო „ძალადობა“. სხვადასხვა შეხვედრაზე განიხილებოდა ისეთი თემები, როგორებიცაა: ქალთა უფლებები, ბულინგი, ტოლერანტობა და ა. შ. შეხვედრები, რომლებმაც მოსწავლეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, ტარდებოდა თვეში ერთხელ. მოტივაცია აღნიშნულ ტრენინგ-სემინარებში ჩართვისა იყო მაღალი. ყველა სემინარი ტარდებოდა ინტერაქტიულ რეჟიმში აქტიური მოსმენის მაღალი კულტურით. მოსწავლეები მსჯელობდნენ, კამათობდნენ, გამოჰქონდათ დასკვნები, მიმოიხილავდნენ ძალადობის ამა თუ იმ სახის როგორც პრევენციის, ისე მის გამომწვევ მიზეზებს; აყალიბებდნენ პრობლემის გადაჭრის მათეულ გზას, თუმცა იმ დღით არ მთავრდებოდა ამა თუ იმ პრობლემაზე საუბარი, მსჯელობა, აზრთა გაზიარება გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც. მე-7-მე-11 კლასებში ატარებდნენ გამოკითხვებს, მიმართავდნენ ინტერვიუებს; ქმნიდნენ საინტერესო პოსტერებს. კონკრეტიკისთვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

- ბულინგის თემის გავლის შემდეგ ერთად ვნახეთ ჩვენი სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ (მასწავლებელი ელისო ჩიქოვანი) კიბერბულინგის თემაზე გადაღებული და რეგიონში მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი დოკუმენტური ფილმი „ჩვენ უარს ვამბობთ იარაღზე!“ ფილმმა თითოეული მათგანი დააფიქრა. მათ გაიაზრეს, რომ მეგობრობას ყველანაირი ძალადობის, მათ შორის კიბერბულინგის დამარცხებაც კი შეუძლია; რომ ემიგრანტი დედების შვილებს (ფილმის მთავარი გმირი ემიგრანტი მშობლების შვილია) ჩვენი მოფერება, განსაკუთრებული სითბო და გვერდში დგომა სჭირდებათ; რომ ვერანაირი ფული და ოქრო ვერ გადაწონის იმ სითბოს, რაც შვილს დედისგან სჭირდება.
- ტოლერანტობის თემის გავლის შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენი აქტივობებით გაზაფხულზე ვწვეოდით საზღვრისპირა ერთ-ერთ სოფლის საჯარო სკოლას, ფონდი „სოხუმის“ ეგიდით, სამწუხაროდ, პანდემიის გამო იდეას ხორცი ვერ შევასხით.
- ჩვენი მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა მარნეულის მუნიციპალიტეტის სომხურ საჯარო სკოლასთან პარტნიორული ურთიერთობის აღდგენისა. ბავშვები გულისტკივილით აღნიშნავდნენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მათი თანატოლი გოგონების მიმართ განხორციელებულ ოჯახურ ძალადობას, რომლითაც მათ ოჯახის წევრები ქორწინებას აიძულებდნენ.
- ივლისის დასაწყისში მოსწავლეებმა: ნიკოლოზ მდინარაძემ, თეიმურაზ ქარქაშაძემ და მარიამ გავაშელაშვილმა, მშობელმა სოფიო სირბილაძემ, სკოლის დირექტორმა ინეზა ზამთარაძემ და კლასის დამრიგებელმა მონაწილეობა მივიღეთ შემაჯამებელ შეხვედრაში, რომელიც დისტანციურად გაიმართა და რომელსაც ქ-ნი ნინო ჭაბუკიანი ხელმძღვანელობდა. ეს იყო ძალიან საინტერესო აქტივობა მასში მონაწილეთა მაღალი ჩართულობითა და ინტერაქტივის მაღალი დონით. უნდა აღინიშნოს, რომ შემაჯამებელ შეხვედრაში ჩვენს მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სენაკის, ოზურგეთის, აბაშის, ლენტეხის, ცაგერის და სხვა მუნიციპალიტეტების სკოლებიდან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობა, ძალადობა მოზარდების მიმართ, ძალადობა ბავშვებზე, ბულინგი—განსაკუთრებით მტკივნეულია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ყოველი 4 ქალიდან ერთი ძალადობის მსხვერპლია, 1,5 მილიონი ადამიანი განიცდის ყოველწლიურად სექსუალურ ძალადობას, დაახლოებით 520 ათასი ადამიანი იღუპება ძალადობის მიზეზით. ეს შემაშფოთებელი სტატისტიკაა, რომელსაც ახსნა არც შეიძლება მოეძებნოს.

საქართველოში, მცირე გამონაკლისების გარდა, ოჯახური ძალადობა ტაბუდადებული თემაა. ის აღიქმება, როგორც „პირადი“ საქმე. ძალადობის მსხვერპლებს არ უნდათ განაცხადონ განცდილის შესახებ, მათ რცხვენიათ საკუთარი თავის, ეშინიათ, რომ ბრალს დასდებენ ოჯახის „ღალატში“, ეშინიათ მოძალადის მხრიდან შურისძიებისა აგრესიისა და დუმილს ამჯობინებენ. სამწუხაროდ, საზოგადოებაც თავს „იყრუებს“, ეს ხომ „ოჯახური საქმეა“ და არ უნდა ჩავერიოთ. შედეგად, მსხვერპლი მოძალადის პირისპირ მარტო და დაუცველი რჩება.

არა მეგობრებო! ადამიანი პირუტყვი არ არის, რომ ვინმემ ცხოველივით ურტყას.

ახლა სწორედ ის ეტაპია, როცა არავინ არ უნდა გაჩუმდეს, როცა ჩაგრული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს მარტო დესპოტის პირისპირ.

მოძალადეები ერთად უნდა შევაჩეროთ!

დავარღვიოთ დუმილი!

დავამარცხოთ ძალადობა!

ეთერ ტურავა

მე ვარ სოფიო პერანიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანითიდან. დავამთავრე გურამ ქარქაშაძის სახელობის ღვანკითის საჯარო სკოლა და დღემდე აქტიურად ჩაბმული ვარ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობასა და ღონისძიებებში.

თერჯოლის მოსწავლეთა ცენტრმა და უშუალოდ, ქალბატონ რუსუდან კოვზირიძესთან ურთიერთობამ მასწავლა ძალიან ბევრი რამ და ვფიქრობ, სერიოზული ნიადაგი მომიმზადა უფრო ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. სწორედ ამან გადამაწყვეტინა ჩემი სამომავლო პროფესიაც... და აწ უკვე ვარ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებების, კონკრეტულად, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

რაც შეეხება მთავარ საკითხს, რაზეც მინდა ვისაუბრო, ეხება ძალადობას.

სამწუხაროდ, ძალადობის თემა დღევანდელ საზოგადოებაში საკმაოდ აქტუალურია. საქართველოშიც მრავალი „დაფარული“ თუ აშკარა ძალადობა ფიქსირდება, ეს არასასიამოვნო ფაქტია და წარმოადგენს საზოგადოებისთვის სოციალურ და სამართლებრივ პრობლემას. ძალადობისას ილახება ადამიანთა უფლებები, ჩვენ ის არ უნდა ჩავთვალოთ ერთი კონკრეტული ინდივიდის, „მსხვერპლის“ პრობლემად, რადგან რეალურად საქმე უფრო სერიოზულად არის. ძალადობასაც აქვს ჯაჭვური რეაქცია, გადადის ერთიდან მეორეზე და ასე ითრევს საზოგადოებას.

რაც შეეხება ჩემს პირად დამოკიდებულებას, ყოველთვის მაინტერესებდა და მაღელვებდა მსგავსი საკითხები, რეალურადაც შევსწრებივარ ძალადობის მაგალითებს და არ ვყოფილვარ ის, ვინც იტყოდა: „თავიანთი საქმე თავად იციან“, „ოჯახის საქმეს მე ვინ მეკითხება, თვითონ მოგვარდებიან“. რადგან მე არ ვთვლი ამას სხვების პრობლემად, ეს ჩვენი, ყველას პრობლემაა, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ ძალადობას და არაფერს აკეთებენ.

მე კი ვფიქრობ, ძალადობის პრევენციაში ყველა თანაბრად უნდა ჩაერთოს. პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობა, რათა ხალხმა დაინახოს რეალური პრობლემა და გააცნობიეროს მისი სიმძიმე.

ჩემს ირგვლივ საზოგადოებას აქვს საშუალება ინფორმაციის მიღების. თერჯოლის რაიონში, მოსწავლეთა ცენტრში ხშირად ეწყობა შეხვედრები, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ფენის სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანები ერთ სივრცეში იღებენ ინფორმაციას. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ თერჯოლის მსგავსად სხვა ბევრი მუნიციპალიტეტი ვერ არის ამ კუთხით განებივრებული, არადა ეს აუცილებლად შედეგის მომცემია ძალადობის პრევენციისთვის. საზოგადოებრივი დისკუსიები, ძალადობის შესახებ საჯარო დებატები, დისკუსიები მოსწავლეებს შორის, მშობლებთან და მასწავლებლებთან, ღია შეხვედრები, გაკვეთილები—ყველაფერმა ამან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში ძალადობის უარყოფითი გავლენის უკეთ გააზრებას. აქვე აუცილებლად მინდა ვახსენო ფონდი „სოხუმი“, რომელიც ნამდვილად ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობია და ჩართულია ძალადობის პრევენციის საქმეში, საზოგადოების ინფორმირებულობაში.

როგორც მომავალმა ფსიქოლოგმა, მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი ადამიანის ფსიქიკიდან მოდის, არ შეიძლება ძალადობად მხოლოდ ფიზიკური ზიანი და შეურაცხყოფა აღვიქვად. მორალური და ფსიქოლოგიური ზეწოლა კიდევ უფრო მძიმე და სერიოზულია. ძალადობა, ეს ისეთი საკითხია, სადაც რეალურად ყველა მსხვერპლია, სუბიექტიც და ობიექტიც, ამიტომ უნდა გავერთიანდეთ და მთელმა საზოგადოებამ ერთად უნდა აღმოვფხვრათ ეს უდიდესი პრობლემა. ვუთხრათ არა ძალადობას!

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872